დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ოზბეთელაშვილი

წევრები:

ასმათი ტოგონიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970705

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონი
ფაქტობრივი მისამართი	ხონი, სოფელი ივანდიდი
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1110
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ivandidi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577626992

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 14 თებერვლის N MES 1 26 0000163954 გრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 16-17 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ივანდიდი სკოლა (1შენობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ივანდიდი სკოლა(1 შენობა)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ივანდიდი სკოლა(1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 16 და 17 მარტს სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა და დამუშავებული დოკუმენტაციის განხილვა, რის საფუძველზეც ექსპერტების მიერ

განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, შემუშავებულ იქნა შეხვედრის აქტი, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის შესასრულებელი საქმიანობა, ფუნქციების გადანაწილება და პასუხისმგებელი პირები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. სკოლის მხრიდან იყო სრული მზაობა თითოეული სტანდარტის შესაბამისად დასმულ შეკითხვაზე მყისიერად წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულება, სკოლის მხრიდან ამგვარმა კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.
ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენს **„სასკოლო მზაობისა და თაობათა შორის კავშირის გაძლიერების პროგრამა“**, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა ინტეგრაციას სასკოლო გარემოში და სკოლის პოპულარიზაციას ადგილობრივ თემში. იმ პირობებში, როდესაც სკოლა დგას მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების გამოწვევის წინაშე (რაც გამოწვეულია ქალაქთან სიახლოვითა და მიგრაციით), დაწესებულებამ დანერგა პროაქტიული მიდგომა პოტენციური მოსწავლეების მოსაზიდად.

აღნიშნული პრაქტიკა მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

- **თანატოლთა განათლება და კითხვის პოპულარიზაცია:** დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები სისტემატურად სტუმრობენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და უკითხავენ წიგნებს, რაც ერთი მხრივ, მოსწავლეებში კითხვის უნარებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ, ბაღის ბავშვებში ზრდის ინტერესსა და დადებით განწყობას სკოლის მიმართ.
- **შემოქმედებითი ჩართულობა:** საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები თოჯინების თეატრის წარმოდგენებს მართავენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების გზით მყარი ემოციური კავშირის დამყარებას მომავალ მოსწავლეებთან.
- **ღია კარის პრინციპი:** სკოლა ხშირად მასპინძლობს სკოლამდელი აღზრდის ბავშვებს საკუთარ სივრცეში, სადაც მათთვის იმართება სხვადასხვა საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობები.

ეს მიდგომა სკოლას ეხმარება, ჩამოაყალიბოს „მიკუთვნებულობის განცდა“ ბავშვებში ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოსწავლეთა რაოდენობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისთვის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: -----250-----	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	1. *ხარვეზი: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა: „ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის შენობის (ნაგებობა N01) ვიზუალური დათვალიერებითა და საარქივო მასალების შესწავლით დგინდება, რომ შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, არსებული დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე, ფასდება როგორც **<u>არადამაკმაყოფილებელი.</u>**“ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ფიზიკურად მოიპოვა დოკუმენტი, შენობის რეალური ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის სტანდარტებს.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***

ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების*	*1. რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და მისი უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება/დამტკიცება არაუგვიანეს 2026 წლის 17 დეკემბრისა;* *2. რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს დაწესებულების აღჭურვა შესაბამისი ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკით, „ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*დადგენილებისა და მოქმედი საგანმანათლებლო რეგულაციების სრული დაცვით, არაუგვიანეს 2027 წლის 29 დეკემბრისა.*
3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: სკოლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის სკოლის პირველი სართულის გარდა თითოეული სართულის ხელმისაწვდომობა არაუგვიანეს 2027 წლის 29 დეკემბრისა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ***რეკომენდაცია:*** *სკოლამ საშუალო და საბაზო საფეხურებისთვის უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახში ხელსაბანის და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის, გამწოვი კარადის მონტაჟი, აღჭურვილობის განახლება არაუგვიანეს 2026 წლის 17 დეკემბრისა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.2.1.1.	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის უფრო მკაფიო მექანიზმები, რაც შეიძლება განხორციელდეს ცალკე წესის შემუშავებით, ან აღნიშნული ფუნქციის უკვე არსებული რომელიმე სტრუქტურული ერთეულის დებულებაში (დამატებითი კომპონენტის სახით) ნათლად ჩაშენებით.*
3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*რჩევა: დოკუმენტურად გააფორმოს საჭიროებათა გამოვლენის პროცესი (კვლევის ანალიზის სახით) და შეიმუშაოს მიზნობრივი პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ დაეყრდნობა ამ კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ პრობლემებსა თუ სურვილებს.*
3.2.1.3	*სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას*	*რჩევა: მომავალში წარმატებული ინდივიდუალური შემთხვევები (ბიბლიოთეკარის ტრენინგი, კონსულტაციის ოქმები, საუკეთესო მასწავლებლის წარდგენის დოკუმენტაცია) მეტად ასახოს შიდა*

		ანგარიშგების დოკუმენტებში, რათა პროცესი სრულად ფორმალიზებული იყოს.
3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	რჩევა: სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისა და ციფრული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სასურველია სკოლამ იზრუნოს ოფიციალური ვებგვერდის პოპულარიზაციაზე მშობლებში.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N.4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	რჩევა: სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სარემედიაციო მომსახურეობის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სწავლების სამივე საფეხურს
ინდიკატორი N.4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	რჩევა: სასურველია, ხელშეკრულებებში აღწერილი იყოს, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი.
ინდიკატორი N.4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	რჩევა: სასურველია სკოლამ მოსწავლეთა ადაპტაციის დოკუმენტში ასახოს ის გამორჩეული და ორიგინალური წესები, რაც ტრადიციად აქცია.
ინდიკატორი N.4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	რჩევა: სასურველია, სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით შექმნას სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის დოკუმენტი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	**რჩევა**
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე	**სახელმწიფო ენა**

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმები გაიმართოს ვიზუალურად, კათედრაზე ერთნაირი კურიკულუმის ჩარჩო იყოს შემუშავებული.* *1-ელი კლასი: აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; გამოიკვეთოს დავალების იდეა (სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; რესურსებში მითითებულ გმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ.* *მე-2 კლასი: საათების მითითება არ არის საჭირო; საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე.* *მე-3 - მე-4 კლასები: სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე.* *მე-5 კლასი: შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.* *მე-7 კლასი: საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე; რესურსებში მითითებულ გმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ.* *მე-8 კლასი: აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; გამოიკვეთოს დავალების იდეა(სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ გმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ; კურიკულუმში აისახოს ყველა შემოქმედებითი დავალება, რომლებზეც მუშაობენ.*

		მე-9 კლასი: გამოიკვეთოს დავალების იდეა(სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ; საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო. *მე-10 კლასი: რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული; სასურველია, დამატებითი რესურსების გამოყენება.* *მე-11 კლასი: სასურველია, დაკონკრეტდეს დავალების იდეა(პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ;* *მე-12 კლასი: შეივსოს საკითხის გრაფა - ჩაიწეროს ის საკითხი, რომელიც მუშავდება დავალებაში, საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; სასურველია, დაკონკრეტდეს დავალების იდეა(პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე).*
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტწილად გათვალისწინებულია.*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკა*** *სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებითი საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული ელექტრონული რესურსების და გვერდების მითითებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში ჩასწორდეს თემატური ბლოკის სახელწოდება.*

		ასევე თემა, ცნება/ქვეცნებები და დავალების პირობა უფრო დეტალურად დაკონკრეტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში. შეირჩეს სამიზნე ცნებების-ქვეცნებები რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო მიზნებთან და დავალების შინაარსთან.
ინდიკატორი N.2.1.2.1.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას*	***ესთეტიკა*** *სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.*
ინდიკატორი N.2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***მათემატიკა*** *სასურველია, სწავლების შედეგების უკეთ მიღწევისთვის, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ქვეცნებები, რომელთა დამუშავებასაც პედაგოგი გეგმავს მოცემულ თემასთან მიმართებით.*
ინდიკატორი N.2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმებში მითითებული ბმულებ სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივე საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას.* *სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის დამხმარე რესურსებში მითითებული იყოს შესაბამისი გვერდები, რაც გაამარტივებს შესაბამისი რესურსის გამოყენების რელევანტურობის აღქმას და მის ვერიფიკაციას.*
ინდიკატორი N.2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა***

		სასურველია, კურიკულუმში მონიშნოთ საკითხების შესაბამისი ის რესურსი, რომელიც გამოიყენეთ მოცემული საკითხის დამუშავებისას ან რომელთა გამოყენებასაც გეგმავთ.
ინდიკატორი N.2.1.2.6.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***დაწყებითები*** *კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***დაწყებითები*** *სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***დაწყებითები*** *სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება*
ინდიკატორი N.2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საბუნებისმეტყველო*** *სასურველია მასწავლებელმა ბიოლოგიის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწეროს ელექტრონული რესურსებიც. რესურსების მრავალფეროვნება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და ესგ -ის სტანდარტის შედეგებზე გასვლას შეუწყობს ხელს.*
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საბუნებისმეტყველო*** *ფიზიკის საბაზო საფეხურის მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმში პედაგოგმა სასუეველია გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს, რაც ხელს შეუწყობს ესგ -ის სტანდართით დაგეგმილი სასწავლო მიზნების შესრულებას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოდგენილია კორესპონდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი რიგ საკითხებში დაეთანხმა, ხოლო რიგი საკითხი არ გაიზიარა. კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიმდინარე წლის 16 აპრილს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი 3.4.1.1 (სკოლის ეზოში არსებული დამატებითი შენობა-ნაგებობის შემოღობვა) და 3.4.1.2 (სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვა) ინდიკატორების ხარვეზის დასაძლევად წარმოდგენილი აქტივობები და მტკიცებულებები ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია:

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიმდინარე წლის 16 აპრილს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც 3.4.1.1 ინდიკატორში შეუსაბამობად გაწერილი აქვს „უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ არადამაკმაყოფილებელი დასკვნა“, შესაბამისობის ტიპად მითითებული აქვთ „მეტწილი“, დაწყების ვადა გაწერილია 18.03.2026 ხოლო დასრულების ვადა 17.12.2026, თუმცა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმაში „მეტწილად“ გაწერილი ინდიკატორი ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა „მეტწილ შესაბამისობად“, დასკვნით ნაწილში ინდიკატორში კვლავ აღწერილია ხარვეზი და შეფასებულია „არ შეესაბამებად“.

შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა შესაბამისად; მეორე სტანდარტი - საბაზო და საშუალო საფეხურზე მეტწილ შესაბამისად ხოლო დაწყებით საფეხურზე შესაბამისად; მესამე სტანდარტი - არ შეესაბამება; მეოთხე სტანდარტი - შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია საკუთარ საჭიროებებსა და სპეციფიკაზე მორგებული, მკაფიოდ ფორმულირებული მისია და ღირებულებები. სკოლის მისია მიმართულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, უსაფრთხო და ხარისხიანი სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, რათა ხელი შეუწყოს სიახლის მაძიებელი, განათლებული, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნებების ჩამოყალიბებასა და მათ პროფესიულ ორიენტაციას. ამ საგანმანათლებლო პროცესში სკოლა ეყრდნობა ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა: თანამშრომლობა და გუნდურობა, გამჭვირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის ფილოსოფიის ეს ძირითადი კომპონენტები (მისია, ხედვა, ღირებულებები) არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის, რადგან წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილსაც. ამასთანავე, საფუძვლად უდევს სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას (2025-2032 წწ.), რომელიც ოფიციალურად მიღებული და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 2025 წლის 8 სექტემბერს (ოქმი N 2). შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა ეხმიანება დ ა იზიარებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა სრულად აცნობიერებს თავის მრავალგანზომილებიან როლს. სკოლის დეკლარირებული ღირებულებები - თანამშრომლობა და გუნდურობა, გამჭვირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა - ქმნის მყარ საფუძველს უსაფრთხო და ინკლუზიური სოციო-კულტურული სივრცის ფორმირებისთვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული როლის გააზრება არ შემოიფარგლება მხოლოდ

მისიის ტექსტით; იგი წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და სრულად არის ინტეგრირებული სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც ოფიციალურად არის მიღებული და დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 8 სექტემბერს (სხდომის ოქმი N2).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის - სკოლის თვითშეფასების ფორმის, 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სპეციალურად შემუშავებული კითხვარების (დანართი 8) - შესწავლა ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფია საზოგადოების ჩართულობით არის შექმნილი.

სკოლამ გამოიყენა საჭიროებების კვლევის ინსტრუმენტი - მიზნობრივი გამოკითხვა. კითხვარები დიფერენცირებულია და ფარავს სასკოლო საზოგადოების სამივე მთავარ ჯგუფს: **მშობლებთან** კომუნიკაცია ფოკუსირებულია სასკოლო გარემოს უსაფრთხოებაზე, ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და ღონისძიებებში ჩართულობაზე; **მასწავლებლების** გამოკითხვა მიმართულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, თანამშრომლობითი გარემოსა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის შეფასებაზე; **მოსწავლეების** კითხვარი იკვლევს საგანმანათლებლო გარემოს შესაბამისობას მათ მოლოდინებთან და უსაფრთხოების განცდას.

შედეგების ასახვა სკოლის ფილოსოფიაში: იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღნიშნულ გამოკითხვებსა და სკოლის მიერ დეკლარირებულ საბოლოო დოკუმენტებს შორის. კერძოდ: კითხვარებში მშობლებისა და მოსწავლეებისთვის აქცენტირებული **„უსაფრთხო გარემო“** პირდაპირ აისახა სკოლის მისიაში („უსაფრთხო, ხარისხიანი სასწავლო პროცესის ორგანიზება“) და ხედვაში; მასწავლებელთა კითხვარებში ხაზგასმული **„თანამშრომლობითი გარემო“** სკოლამ საკუთარ ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად (თანამშრომლობა და გუნდურობა) აქცია; გამოკითხვებიდან წამოსული მოთხოვნები ინდივიდუალური მიდგომებისა და განვითარების შესახებ ტრანსფორმირებულია სტრატეგიული გეგმის მთავარ პრიორიტეტებად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ის ფაქტი, რომ დოკუმენტი (სტრატეგიული გეგმა, რომელიც აერთიანებს მისია-ხედვას) დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (2025 წლის 8 სექტემბრის #2 ოქმი). სამეურვეო საბჭო, როგორც მშობელთა და პედაგოგთა წარმომადგენლობითი ორგანო, თავისთავად უზრუნველყოფს საზოგადოების ლეგიტიმაციასა და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების ფინალურ ეტაპზე.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებები (მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე) ადასტურებს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის დოკუმენტური მტკიცებულებებისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების ურთიერთშეჯერებით (თვითშეფასება, სტრატეგიული გეგმის შესავალით, კითხვარებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით) დგინდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს არსებულ ბერკეტებს საკუთარი ფილოსოფიის გასასაჯაროებლად. დოკუმენტების შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობა უკვე წარმოადგენს გაზიარების მყარ გარანტს. გარდა ამისა, სკოლის სტრატეგიული დოკუმენტი ოფიციალურად მოიაზრება როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის მისიისა და ხედვის გაზიარების მთავარი პლატფორმა. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ შესაძლოა მათ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სიტყვა-სიტყვით არ იციან მაგრამ ესმით სკოლის მთავარი მიზანი და თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში/გამოცდილებაში ხედავდნენ იმ ღირებულებებს რაც სკოლის ფილოსოფიაშია აღწერილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდსა და სკოლის მატერიალურ სივრცეში - საინფორმაციო დაფაზე.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულებას მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ბრძანების საფუძველზე - **„სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლა“**.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2032 სტრატეგიული გეგმა ივანდიდის საჯარო სკოლა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- დან.8-კითხვარი მისია, ხედვა. ღირებულებები- 2025;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია დაგეგმვის ფორმალიზებული და ქმედითი პრაქტიკა. სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (დანართი 12), რომელიც დეტალურად აღწერს 7-წლიანი სტრატეგიული და 1-წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის ეტაპებს. უმნიშვნელოვანესია, რომ დოკუმენტში მკაფიოდ არის რეგლამენტირებული სასკოლო საზოგადოების (მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები) ჩართულობის მექანიზმები, როგორიცაა საჭიროებათა კვლევა და მიზნობრივი გამოკითხვები, რაც სკოლამ პრაქტიკაში უკვე გამოიყენა (რაც დასტურდება დანართი 8-ით მოწოდებული კითხვარებით). ამასთან, აღნიშნული მეთოდოლოგია არ წარმოადგენს მხოლოდ შიდა ადმინისტრაციულ სამუშაო ვერსიას - მას გააჩნია უმაღლესი სასკოლო ლეგიტიმაცია, რადგან ოფიციალურად განიხილა და დაამტკიცა სკოლის სამეურვეო საბჭომ 2025 წლის 8 სექტემბრის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე (დანართი 14). ვინაიდან სამეურვეო საბჭო თავად წარმოადგენს მშობელთა და პედაგოგთა

ინტერესების გამომხატველ ორგანოს, პროცესის ამ ფორმით წარმართვა ობიექტურად ადასტურებს თანამონაწილეობითი დაგეგმვის პრაქტიკის არსებობას

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმისა“ და დაგეგმარების მეთოდოლოგიის (დანართი 12) შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის სტრატეგიული დოკუმენტი სრულყოფილად პასუხობს დადგენილ სტრუქტურულ და შინაარსობრივ მოთხოვნებს. სტრატეგიული გეგმის პრეამბულაში პირდაპირ არის მითითებული, რომ იგი განსაზღვრავს სკოლის განვითარების მიმართულებებს „მომავალი შვიდი წლის განმავლობაში“, ხოლო თავად პროცესის ციკლურობა უზრუნველყოფილია დამტკიცებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს გეგმის შესრულების მონიტორინგს, ანგარიშგებასა და პერიოდულ განახლებას. დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა ფუნდამენტურად ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას — მასში ინტეგრირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნები. მაგალითად, მისიაში დეკლარირებული „უსაფრთხო, ხარისხიანი სასწავლო პროცესის ორგანიზება“ სტრატეგიულ გეგმაში გარდაქმნილია კონკრეტულ მიზნებად (მაგ: უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება), რომელთაც, თავის მხრივ, შეესაბამება კონკრეტული ამოცანები (მაგ: უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის“ (დანართი 13) დეტალური შესწავლით დასტურდება, რომ დოკუმენტი წარმოადგენს ერთწლიან (2025-2026 სასწავლო წელი) სამუშაო ინსტრუმენტს, რომელიც კონკრეტულ ეტაპებად (თვეების მიხედვით, IX-VIII) ფარავს სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს მის შესაბამისობასა და ლოგიკურ ბმას 7-წლიან სტრატეგიულ გეგმასთან (2025-2032 წწ.); კერძოდ, სტრატეგიულ დოკუმენტში გაცხადებული გრძელვადიანი მიზნები - როგორიცაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სკოლის ცნობადობის გაზრდა,

სამოქმედო გეგმაში ჩაშლილია კონკრეტულ ამოცანებად, პასუხისმგებელი პირების, საჭირო რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების ზუსტი მითითებით. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები პირდაპირ პასუხობს სკოლის თვითშეფასებისას გამოვლენილ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს. დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (2025 წლის 8 სექტემბრის N2 ოქმი), იმავე სხდომაზე, სადაც დამტკიცდა სტრატეგიული გეგმა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დაგეგმვის პროცესის ერთიანობასა და თანმიმდევრულობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლევადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი ეფექტიანია, დაცულია იერარქიული კავშირი სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი „სკოლის განვითარების 1-წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის“ (2025-2026 სასწავლო წელი, დანართი 13) სიღრმისეული ანალიზით დასტურდება, რომ დოკუმენტი აკმაყოფილებს დადგენილ სტრუქტურულ და შინაარსობრივ მოთხოვნებს. სამოქმედო გეგმა შედგენილია დეტალური მატრიცის ფორმით, სადაც სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილი თითოეული ამოცანის (მაგ.: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სკოლის ცნობადობის გაზრდა) მისაღწევად გაწერილია კონკრეტული ლოგიკური აქტივობები (მაგ.: სასწავლო კურიკულუმების შემუშავება, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა, მემორანდუმების გაფორმება). დოკუმენტში თითოეულ აქტივობაზე მკაფიოდაა იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები). შესრულების ვადები რეალისტურადაა გადანაწილებული მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, თვეების (IX-VIII) ზუსტი მითითებით. მატრიცა შეიცავს „შესრულების ინდიკატორების/მტკიცებულებების“ გრაფას (კურიკულუმი, კათედრის ოქმები, გაფორმებული მემორანდუმები, მოსწავლეთა რაოდენობა), რაც აქტივობების შესრულების მონიტორინგს გაზომვადს ხდის. ამასთან, თითოეული აქტივობის გასწვრივ იდენტიფიცირებულია შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა მობილიზებაც საჯარო სკოლის პირობებში რეალისტურია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დანართი 12);
- სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა ;
- სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის (დანართი 13);
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი N2 (დანართი 14);
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კითხვარები (დანართი 8);

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ფორმალიზებული სისტემა. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (დანართი 12) წარმოადგენს იმ მთავარ ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც დეტალურად არეგულირებს შეფასების პროცესს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი შეფასების პერიოდულობა და ფორმატი (მაგალითად, წლის ან სამი წლის ბოლოს ანგარიშის მომზადება ნარატიული ფორმით, მტკიცებულებების, სტატისტიკური ინფორმაციისა და ფოტომასალის დართვით). ამასთან, მონიტორინგის მექანიზმის პრაქტიკული აღსრულების ინსტრუმენტი უკვე ინტეგრირებულია სკოლის 1-წლიან სამოქმედო გეგმაში (დანართი 13), სადაც თითოეული აქტივობის გასწვრივ წინასწარ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და მოსალოდნელი მტკიცებულებები (მაგ.: კურიკულუმი, საგნობრივი კათედრის ოქმები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მოსწავლეთა რაოდენობა). ეს სტრუქტურა მონიტორინგისა და შეფასების პროცესს თავიდანვე ხდის ობიექტურს და გაზომვადს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სკოლას გააჩნია მონიტორინგისა და შეფასების ოფიციალურად დამტკიცებული, ქმედითი და წინასწარ გაწერილი ინსტრუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

„სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას“ (დანართი 12) მიხედვით, სკოლაში მკაფიოდ არის რეგლამენტირებული ანგარიშგების ვალდებულება და ფორმატი. კერძოდ, მეთოდოლოგია ადგენს, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების შედეგები უნდა გაფორმდეს წერილობითი ანგარიშის სახით, რომელიც წარედგინება დირექტორს და შემდგომ დასამტკიცებლად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგია ითვალისწინებს ანგარიშის მტკიცებულებებით (სტატისტიკური ინფორმაცია, ფოტომასალა, ინტერვიუები) გამყარების ვალდებულებას, რაც გამორიცხავს მონიტორინგის ფორმალურობას. შესაბამისად, სკოლას შექმნილი აქვს მყარი ნორმატიული ბაზა მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირებისა და პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, 1-წლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მიღებულია და დაამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბერს. ახალი სტრატეგიული ციკლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ქეისები ჯერ არ ფიქსირდება, თუმცა სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია (დანართი 12) უზრუნველყოფს ამ პროცესის უწყვეტობასა და ციკლურობას. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმი - სპეციალური სქემის სახით წარმოდგენილია მისიაში, ხედვაში, სტრატეგიულსა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცედურა. მეთოდოლოგიური ჩანაწერი, რომელიც ანგარიშგების შედეგებს პირდაპირ უკავშირებს სამოქმედო გეგმის კორექტირებას ან ახალი მიზნების ფორმირებას, ადასტურებს დაწესებულების მზაობას, დაეყრდნოს მონიტორინგის მონაცემებს რაც ადასტურებს, რომ სკოლა მონიტორინგს განიხილავს როგორც განვითარებისა და შემდგომი დაგეგმვის წინაპირობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის (დანართი 12) ანალიზით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სავალდებულო, დასკვნითი ეტაპია. დოკუმენტში პირდაპირ არის

გაცხადებული: „დამტკიცებული ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე“, ასევე, გაზიარებისთვის გამოყენებული იქნება სკოლაში მოქმედი სხვა საკომუნიკაციო არხები. ეს ჩანაწერი უზრუნველყოფს პროცესის სრულ გამჭვირვალობას და გარანტიას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს (მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს), რომ ისინი მიიღებენ უკუკავშირს იმ გეგმების შესრულების შესახებ, რომელთა შემუშავებაშიც თავად იყვნენ ჩართულნი. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, 1-წლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მიღებულია და დაამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბერს, ამიტომ რეალური ანგარიშების გამოქვეყნების ფაქტი წლის ბოლოს დადგება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დანართი 12);
- სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის (დანართი 13);
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი N2 (დანართი 14);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის ორგანიზაციული მოწყობა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ და ამომწურავად არის რეგლამენტირებული. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა (დანართი 19 - სკოლის სტრუქტურა 2025), რომელიც ნათლად ასახავს სკოლის მართვის იერარქიასა და მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებს. „სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტშიც დეტალურად და სპეციფიკურად არის გაწერილი სკოლაში არსებული თითოეული პოზიციის (მათ შორის, დირექციის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ფუნქციები ინდივიდუალურ დონეზე შემდგომ გამყარებულია დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში (მაგ.: დანართი 23 - მასწავლებლის ხელშეკრულება; დანართი 25 - პერსონალის ხელშეკრულება). გარდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობებისა, სკოლაში შექმნილი სპეციფიკური სამუშაო ჯგუფებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გამყარებულია შესაბამისი დებულებებით; კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებებით (დანართი 20 - ბრძანება ხარისხის და პროფესიული ჯგუფის შექმნის შესახებ) შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი და პერსონალის პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელთა მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილებები ამომწურავად არის გაწერილი დამტკიცებულ დებულებებში (დანართი 21 - ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება; დანართი 22 - პერსონალის პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება). აღნიშნული დოკუმენტებისა და დამტკიცებული საშტატო ნუსხის (დანართი 24 - საშტატო განრიგი) ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციები სრულად და მკაფიოდაა გამიჯნული, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება მიზანმიმართულად ემსახურება ძირითადი საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

„სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში და ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში პასუხისმგებლობები დელეგირებულია. ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა (დანართი 19) და საშტატო განრიგი (დანართი 24) ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული, ფინანსური და ინფრასტრუქტურული მიმართულებები მკაფიოდ არის გამიჯნული აკადემიური ნაწილისგან. ეს მიდგომა მასწავლებლებსა და საგნობრივ კათედრებს საშუალებას აძლევს, სრულად ფოკუსირდნენ კურიკულუმის განხორციელებასა და მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. ამასთან, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას უშუალოდ უწყობს ხელს სკოლაში მიზნობრივი კოლეგიური ორგანოებისა და სამუშაო ჯგუფების არსებობა კერძოდ, ხარისხის მართვის ჯგუფი და პერსონალის პროფესიული განვითარების ჯგუფი. მათი დებულებებით განსაზღვრული ფუნქციები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ მონიტორინგს, ხარისხის გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთკავშირი და მმართველობითი იერარქია სრულ თანხვედრაშია სკოლის მთავარ საგანმანათლებლო მიზნებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 19 - სკოლის სტრუქტურა 2025;
- სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკა;
- დანართი 23 - მასწავლებლის ხელშეკრულება;
- დანართი 25 - პერსონალის ხელშეკრულება ;
- დანართი 20 - ბრძანება ხარისხის და პროფესიული ჯგუფის შექმნის შესახებ;
- დანართი 21 - ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
- დანართი 22 - პერსონალის პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება;
- დანართი 24 - საშტატო განრიგი;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ კი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ და მისი დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების სიღრმისეული ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი, სამართლებრივად გამართული და ფორმალიზებული ჩარჩო. აღნიშნული პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია მოქმედ შრომის კანონმდებლობასთან და ამომწურავად აწესრიგებს პერსონალის შერჩევის, მიღების, მართვისა და განვითარების პროცედურებს. ამ რეგულაციების პრაქტიკული აღსრულების მექანიზმები და დაგეგმვა ნათლად არის ასახული წარმოდგენილ „სკოლის 1-წლიანი განვითარების სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში“ . სამოქმედო გეგმის მეორე სტრატეგიული მიზანი უშუალოდ ეთმობა „ადამიანური რესურსის განვითარებას“, სადაც გაწერილია ისეთი აქტივობები, როგორიცაა ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით კადრების მოზიდვა და დასაქმება. სამოქმედო გეგმაში თითოეულ ამ აქტივობაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისია) და შესრულების ინდიკატორები (მაგ., სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, შინაგანაწესი), რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზებას. გარდა ამისა, პროცესების კანონმდებლობასთან და დადგენილ წესებთან შესაბამისობას პრაქტიკულ დონეზე ამყარებს „სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი და თანამშრომლებთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად მოიცავს მხარეთა სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. შესაბამისად, დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება წინასწარ დადგენილი და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისი წესების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა“ და „შინაგანაწესის“ ანალიზით დასტურდება სკოლაში პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების არსებობა. პოლიტიკის პრევენციული ხასიათი ვლინდება, პირველ რიგში, კვალიფიციური კადრების მოზიდვის, ობიექტური შერჩევისა და შენარჩუნების მკაფიოდ გაწერილ პროცედურებში, რაც თავიდანვე ამცირებს არაკვალიფიციური პერსონალის დასაქმებისა და შრომითი დავების რისკს. გარდა ამისა, პრევენციას უზრუნველყოფს შინაგანაწესით დადგენილი შრომითი ნორმები, გაცდენების რეგულაციები (წინასწარი შეტყობინება, დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა) და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები. ინტერვენციული ნაწილი მყარდება დისციპლინურ გადაცდომებზე (მათ შორის, არასაპატიო გაცდენებზე) რეაგირების მკაფიო და პროპორციული წესებით, როგორიცაა შენიშვნა, საყვედური, ხელფასის

დაკავება ან გათავისუფლება. ამასთან, სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სკოლას გააჩნია არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების ლეგიტიმური ინტერვენციული პროცედურები, რაც გულისხმობს საათების შიდა გადანაწილებას ან ვადიანი ხელშეკრულებით დროებითი შემცვლელის აყვანას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც პრობლემების თავიდან აცილებას, ისე გამოწვევებზე დროულ რეაგირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკული ქეისების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში კადრების მოზიდვა და დასაქმება ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ინსტიტუციურ დონეზე ეს პროცესი რეგლამენტირებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“ (დანართი 2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025), რომლის პრაქტიკული აღსრულების მტკიცებულებას წარმოადგენს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შესარჩევი ღია კონკურსის მასალები. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება №2-31 ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინების მონაცემების განსაზღვრის შესახებ), ვაკანსია და მის მიმართ წაყენებული ობიექტური საკვალიფიკაციო მოთხოვნები საჯაროდ განთავსდა პორტალზე teacherjobs.ge. შერჩევის პროცესის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გარანტირების მიზნით შეიქმნა სპეციალური საკონკურსო კომისია (დანართი 31 - ბრძანება №2-32 კომისიის შექმნის შესახებ), რომლის შემადგენლობაშიც, სკოლის თანამშრომლებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები (დანართი 28 - საკონკურსო კომისია ოქმი 1; დანართი 29 - საკონკურსო კომისია ოქმი 2; დანართი 30 - საკონკურსო კომისია ოქმი 3) დეტალურად აღწერს კანდიდატთა შერჩევის ორეტაპიან, ფორმალიზებულ პროცესს: პირველ ეტაპზე ხდება დოკუმენტაციის გადარჩევა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე, ხოლო მეორე ეტაპზე - გასაუბრება და პროფესიული ცოდნისა თუ უნარ-ჩვევების შეფასება, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით. ამგვარად დოკუმენტირებული და მრავალსაფეხურიანი შერჩევის პრაქტიკა პირდაპირ ემსახურება პოზიციისთვის შესაბამისი, კვალიფიციური კადრის ობიექტურად მოზიდვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციით, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი eSchool-ის ბაზა, რომელშიც ასახულია მასწავლებლების სტატუსი. ასევე, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ მატერიალური ფორმით შენახული კადრის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება მოხერხდა eSchool-ის ბაზაში ასახულ საათობრივ დატვირთვასთან - ირკვევა, რომ სკოლის კადრი, გარდა მათი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დატვირთული არ არის სხვა საგნობრივი ჯგუფების საათებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ორგანიზაციული კულტურა და პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება თანამშრომლების ჩართულობას, გუნდურობას, პასუხისმგებლობათა გადანაწილებასა და უფლებათა დელეგირებას, რაც დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა“ (დანართი 2.1) და სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლაში შექმნილია კოლეგიური ორგანოები, კერძოდ, ხარისხის მართვისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ჯგუფები (დანართი 20, 21, 22), სადაც პედაგოგები გუნდური მუშაობის პრინციპით ერთვებიან კურიკულუმების შეფასებაში, საჭიროებების იდენტიფიცირებასა და კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებაში. სასკოლო საზოგადოების წევრთა ინიციატივებისა და საჭიროებების განხილვა უშუალოდ უდევს საფუძვლად სკოლის მართვას, რაც კარგად გამოჩნდა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვებითა და ჩართულობით (რასაც აღწერს 1-წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის დაგეგმარების მეთოდოლოგია). სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რაც კულტურის ღიაობასა და

გუნდურობაზე მიუთითებს. მათთან თანამშრომლობით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რაც მყარდება წარმოდგენილი მემორანდუმებით ა(ა)იპ „ათინათთან“ (პროექტი: „სოციალური მეწარმეობა და გაძლიერებული განვითარებაზე დაფუძნებული უნარები - SEEDS“), კოლეჯ „იბერიასთან“ და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტთან. სკოლის მიერ დოკუმენტურ ეტაპზე წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების, სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფებისა და ადმინისტრაციის მუშაობისას გუნდურობისა და სკოლის საჭიროებაზე მორგებულ პრაქტიკას.

ავტორიზაციის პროცესში, სკოლაში ვიზიტისას, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება და სკოლის დოკუმენტაციის ადგილზე შესწავლა დამატებით ცხადყოფს, რომ აქტიურად იყვნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები ჩართულნი როგორც თვითშეფასების პროცესში, ასევე სკოლის ფილოსოფიის შემუშავება-გაზიარებასა თუ სხვა მმართველობით-საორგანიზაციო საკითხებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ფორმალიზებული მექანიზმები. წარმატების აღიარების (წახალისების) ნაწილი მკაფიოდ არის რეგლამენტირებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა“ (დანართი 2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025.ივანდიდის) და სკოლის შინაგანაწესით (დანართი 26 - ივანდიდის სკოლის შინაგანაწესი). აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა და წარმატებული საქმიანობის აღიარების ისეთ ლეგიტიმურ ფორმებს, როგორებიცაა მადლობის გამოცხადება, ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. აღნიშნული ფორმებიდან გამოყენებული აქვს სკოლას „მადლობის გამოცხადება“ საჯაროდ (სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო და სათემოს საზოგადოების თანდასწრებით).

რაც შეეხება წარმატებული გამოცდილების გაზიარების კომპონენტს, იგი ინსტიტუციურ დონეზეა ასახული „პერსონალის განვითარების დებულებაში“ (დანართი 22 - პერსონალის განვითარების ბრძანება დებულებით). დებულების მე-4 მუხლის თანახმად, პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე აქტიურად იგეგმება „თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება“ და სიახლეების დანერგვის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. აღნიშნულ პროცესებს კოორდინაციას უწევს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნობრივი ჯგუფი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ცალკეული პედაგოგის თუ თანამშრომლის ინდივიდუალური მიღწევები და ინოვაციური პრაქტიკა არ დარჩეს

იზოლირებული და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით ეფექტურად გავრცელდეს მთელ სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025.ივანდიდის** (და მისი დამტკიცების ბრძანება N2-63);
- **1.1. სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკა;**
- **დანართი 26 - ივანდიდის სკოლის შინაგანაწესი;**
- **დანართი 36 - სკოლის 1-წლიანი განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026;**
- **დანართი 23 - მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები;**
- **დანართი 25 - პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;**
- **დანართი 20 - ბრძანება ხარისხის და პროფესიული ჯგუფის შექმნის შესახებ;**
- **დანართი 21 - ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;**
- **დანართი 22 - პერსონალის პროფესიული განვითარების დებულება** (მისი დამტკიცების ბრძანება);
- **საკონკურსო/შერჩევის დოკუმენტაცია (ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ქეისი):**
    - ბრძანება №2-31 ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინების მონაცემების განსაზღვრის თაობაზე;
    - დანართი 31 - ბრძანება №2-32 კომისიის შექმნის შესახებ;
    - დანართი 28 - საკონკურსო კომისია ოქმი 1;
    - დანართი 29 - საკონკურსო კომისია ოქმი 2 (გადარჩევის ეტაპი);
    - დანართი 30 - საკონკურსო კომისია ოქმი 3 (გასაუბრების ეტაპი);
- **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (გუნდურობისა და საგარეო კავშირების დასადასტურებლად):**
    - მემორანდუმი ა(ა)იპ „ათინათთან“ (პროექტი SEEDS);
    - მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „იბერიასთან“;
    - მემორანდუმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან;
- **პირადი საქმეები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზე რეგლამენტირებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა“ (დანართი 2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025.ივანდიდის), „პერსონალის განვითარების დებულებითა“ (დანართი 22 - პერსონალის განვითარების ბრძანება დებულებით) და უშუალოდ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ მარეგულირებელი დოკუმენტით (დანართი 3 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). ამ უკანასკნელის მიხედვით, დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის მართვის უწყვეტი PDCA (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) ციკლი, რაც წარმოადგენს პერსონალის მონიტორინგისა და შეფასების მყარ, სისტემურ ჩარჩოს.

უშუალოდ მასწავლებელთა შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი (დანართი 20 - ბრძანება ხარისხის და პროფესიული ჯგუფის შესახებ; დანართი 21 - ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება), რომლის მიზანია პედაგოგთა საქმიანობის შეფასება, მხარდაჭერა და პროფესიული განვითარება. დებულების მიხედვით, შეფასება მოიცავს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, კურიკულუმების ანალიზსა და მასწავლებლის თვითშეფასებას (რეფლექსიას), რის საფუძველზეც ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება. გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ იგეგმება თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება და ტრენინგები, რაც ასახულია სკოლის 1-წლიან სამოქმედო გეგმაში (დანართი 36 - სკოლის 1 წლიანი განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026.ივანდიდი).

ავტორიზაციის პროცესში, სკოლაში ვიზიტისა და დირექციასთან/პერსონალთან გასაუბრების გზით, დამატებით დადგინდა, დოკუმენტირებული მექანიზმების პრაქტიკაში ეფექტურად განხორცელება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისა“ (დანართი 3 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი) და „სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობის“ (დანართი 1.1 - სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკა) დოკუმენტების მიხედვით, შეფასების აღნიშნული PDCA ციკლი ზოგადად მოიცავს სკოლის სრულ „პერსონალს“. თუმცა, დოკუმენტაციის დეტალური შესწავლით ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილი არცერთი მიზნობრივი ჯგუფის (მათ შორის, ხარისხის მართვის ჯგუფის) ფუნქციებში კონკრეტულად არ არის გაწერილი უშუალოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასება და მათი საჭიროებების დადგენა. სკოლამ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა კითხვარი მასწავლებლებისთვის, რომელიც ასახავს სკოლის შეფასების (მათ შორის ადმინისტრაციული ერთეულის) ცალკეულ ინსტრუმენტს. შესაბამისად, სკოლის შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით, დაწესებულებას ეძლევა **რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის უფრო მკაფიო მექანიზმები, რაც შეიძლება განხორციელდეს ცალკე წესის შემუშავებით, ან აღნიშნული ფუნქციის უკვე არსებული რომელიმე სტრუქტურული ერთეულის დებულებაში (დამატებითი კომპონენტის სახით) ნათლად ჩაშენებით.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა“ (დანართი 2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025.ივანდიდის) და „პერსონალის განვითარების დებულებით“ (დანართი 22 - პერსონალის განვითარების ბრძანება დებულებით) ინსტიტუციურ დონეზე განსაზღვრულია, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება ლოგიკურად უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ გამოვლენილ საჭიროებებს. თავად დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში ამ ინდიკატორის გასწვრივ აღნიშნულია: *„შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს ასევე, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს“.* თუმცა, წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპების გათვალისწინებით, დოკუმენტური შესწავლის ეტაპზე იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა დეკლარირებულ ტექსტსა და ფაქტობრივ მტკიცებულებებს შორის. კერძოდ, სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ პერსონალის საჭიროებათა კვლევის უკვე განხორციელებული, ფაქტობრივი შედეგები (მაგალითად, შევსებული კითხვარების შემაჯამებელი ანალიზი, რეფლექსიის ფორმები ან ინდივიდუალური შეფასების

ფურცლები) და კონკრეტულად ამ შედეგებზე დაფუძნებული, დეტალურად გაწერილი პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა. მართალია, სკოლის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში (დანართი 36 - სკოლის 1 წლიანი განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026.ივანდიდი) ზოგადად არის ასახული ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის აქტივობები, მაგრამ დოკუმენტურად არ დასტურდება მკაფიო, ლოგიკური ბმა - თუ რა სპეციფიკურ საჭიროებებს (მაგ. რომელიმე საგანში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ინკლუზიური განათლების უნარების გაძლიერება და ა.შ.) პასუხობს აღნიშნული აქტივობები. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დამატებით დადგინდა თვითშეფასებაში აღწერილი ზემოხსენებული პროცესების პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმი. დაწესებულება საუბრობს აღნიშნულ პრაქტიკაზე და ასახელებს სამომავლო ხედვაზე, რომლის რეალისტურობას ცხადყოფს სკოლის მიერ წლის ბოლოს ჩასატარებელი კვლევის კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის). რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა **რჩევა: დოკუმენტურად გააფორმოს საჭიროებათა გამოვლენის პროცესი (კვლევის ანალიზის სახით) და შეიმუშაოს მიზნობრივი პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ დაეყრდნობა ამ კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ პრობლემებსა თუ სურვილებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა“ (დანართი 2.1) და „პერსონალის განვითარების დებულების“ (დანართი 22) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას ინსტიტუციურ დონეზე გააზრებული აქვს პერსონალის კარიერული ზრდისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობის ვალდებულება. ამ დოკუმენტებით განსაზღვრულია ისეთი მხარდამჭერი მექანიზმები, როგორებიცაა შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება, კოლეგიალური ურთიერთდაკვირვება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. აღნიშნული მიმართულება ასევე ინტეგრირებულია სკოლის 1-წლიან სამოქმედო გეგმაში (დანართი 36), სადაც ცალკე ამოცანად არის გამოყოფილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დოკუმენტური შესწავლის ეტაპზე ნათლად არ იკვეთებოდა კარიერული წინსვლის ხელშეწყობის უკვე განხორციელებული, პრაქტიკული და ინდივიდუალიზებული ნაბიჯები (მაგალითად, კონკრეტული მტკიცებულებები იმისა, თუ როგორ უწყობდა ხელს სკოლა მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებაში ან ადმინისტრაციულ/ტექნიკურ პერსონალს კარიერულ წინსვლაში). თუმცა, საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებითა და მოძიებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ინსტიტუციური ჩარჩო პრაქტიკაში ეფექტიანად მუშაობს და სკოლა რეალურად უწყობს ხელს თანამშრომელთა კარიერულ ზრდას. კერძოდ, გამოიკვეთა შემდეგი პოზიტიური პრაქტიკა: *ადმინისტრაციული პერსონალის*

ხელშეწყობა: სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ პედაგოგების, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამის ნათელი მაგალითია სკოლის ბიბლიოთეკარის გაგზავნა და ჩართვა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ესბ-ს განვითარების ფონდის ონლაინ სასერტიფიკატო ტრენინგ-კურსში; *მასწავლებელთა კარიერული (სტატუსის) მხარდაჭერა:* პედაგოგების კარიერული წინსვლის (სქემაში დაწინაურების) ხელშესაწყობად, სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე უშუალოდ დაესწრნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის „ახალი სქემის“ განხილვას. მათი მიზანია, სასკოლო საზოგადოებას დეტალურად გააცნონ სიახლეები, უპასუხონ მასწავლებლების კითხვებს და გაუწიონ კომპეტენტური ფასილიტაცია კარიერული საფეხურების დასაძლევად; *მიღწევების აღიარება:* აღსანიშნავია ისიც, რომ უშუალოდ სკოლის ინიციატივით (რესურსცენტრის გავლით) მოხდა ერთ-ერთი პედაგოგის წარდგენა „საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულზე, რაც კარიერული ზრდის ხელშეწყობისა და მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია.

შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლაში არსებობს კარიერული ზრდის ხელშემწყობი როგორც ნორმატიული ჩარჩო, ისე უკვე განხორციელებული ქმედითი პრაქტიკა. დაწესებულებას ვიზიტის ფარგლებში მიეცა **რჩევა: მომავალში წარმატებული ინდივიდუალური შემთხვევები (ბიბლიოთეკარის ტრენინგი, კონსულტაციის ოქმები, საუკეთესო მასწავლებლის წარდგენის დოკუმენტაცია) მეტად ასახოს შიდა ანგარიშგების დოკუმენტებში, რათა პროცესი სრულად ფორმალიზებული იყოს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულება ფოკუსირებულია ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე. აღნიშნული მიმართულება ინსტიტუციურ დონეზე ასახულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ (დანართი 2.1) და წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ მიზანს, რაც პირდაპირ არის გაწერილი სკოლის 1-წლიან სამოქმედო გეგმაში (დანართი 36). კერძოდ, გეგმაში გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. ამასთან, „შინაგანაწესი“ (დანართი 26) უზრუნველყოფს პერსონალის დროულ ინფორმირებას სკოლის კულტურის, ქცევის წესებისა და შრომითი პირობების შესახებ, რაც ინტეგრაციის პროცესის საბაზისო საფეხურია.

დოკუმენტური შესწავლის ეტაპზე ნათლად იკვეთებოდა, რომ სკოლამ წარმატებით ჩაატარა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შესარჩევი კონკურსი (რაც დასტურდება საკონკურსო ოქმებით — დანართები 28, 29, 30 და 31), თუმცა არ ჩანდა ამ კადრის ინტეგრაციის უკვე განხორციელებული, პრაქტიკული მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოება დაზუსტდა საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში. საავტორიზაციო ვიზიტის დროს, ახლად დასაქმებულ ფიზიკური აღზრდის

მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად, დადასტურდა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ეფექტიანი, ფაქტობრივი პრაქტიკა. კერძოდ, დასახელდა შემდეგი მიგნებები: სკოლის ადმინისტრაციამ ახალ თანამშრომელს დეტალურად გააცნო სკოლის სტრუქტურა და სპეციფიკა. ამასთან, მოხდა მისი ინფორმირება შინაგანაწესის შესახებ, რომელიც სკოლაში საჯაროდაც არის განთავსებული და ხელმისაწვდომია ყველასთვის; ინტეგრაციის პროცესის გასამარტივებლად, ახალ თანამშრომელს სკოლის უკვე არსებული კადრებიდან მიემაგრა ე.წ. ფასილიტატორი, რომელიც მას ყოველდღიურ სასკოლო გარემოსა და სამუშაო პროცესთან ადაპტაციაში ეხმარებოდა; სასკოლო საზოგადოების უშუალო მხარდაჭერითა და დახმარებით, ახლად აყვანილმა თანამშრომელმა უკვე შეძლო კარიერული წინსვლის მიღწევა;

სკოლაში მოქმედი ინტეგრაციისა და ადაპტაციის მექანიზმები არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და წარმატებით ხორციელდება პრაქტიკაში. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი კადრებისთვის უსაფრთხო, ინფორმირებული და კოლეგიალური გარემოს შექმნას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში დანერგილია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული ქმედითი პოლიტიკა. დაწესებულება არა მხოლოდ ფორმალურად აღიარებს, არამედ პრაქტიკული მექანიზმებით (ფინანსური უზრუნველყოფა, ინფორმაციის მუდმივი მოძიება-მიწოდება, თანამშრომელთა მიღწევების აღიარება) აქტიურად უწყობს ხელს და ახალისებს პერსონალის პროფესიულ ზრდასა და ინიციატივებს. კერძოდ:

სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადასტურებულია პერსონალის პროფესიული ზრდისა და ინიციატივების მხარდაჭერა. 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზში დაწესებულების ძლიერ მხარეებად იდენტიფიცირებულია მოტივირებული პედაგოგები, პროფესიულ წინსვლაზე ორიენტაცია და სიახლეების მიმღებლობა. გარდა ამისა, სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომლის დებულებაც პირდაპირ ითვალისწინებს მასწავლებლებთან ერთად პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობებისა თუ სტრატეგიების განხილვას და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას.

ამ დოკუმენტური ბაზის ეფექტიანობა დასტურდება საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი პრაქტიკული მიგნებებით. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად იკვეთება ინიციატივების წამახალისებელი და მხარდამჭერი ძლიერი გარემო: **ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა** - სკოლამ დააფინანსა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 10-დღიანი ტრენინგი (ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში) სკოლის დირექტორისა და საქმეთა მმართველისთვის. ამასთან, დაგეგმილია შიდა ტრენინგი მიღებული გამოცდილების კოლეგებისთვის გასაზიარებლად; *ინფორმაციული უზრუნველყოფა*

და კონსულტირება: დირექტორი და დირექტორის მოადგილე დაესწრნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების „ახალი სქემის“ განხილვას, რათა სასკოლო საზოგადოებასა და მასწავლებლებს მიაწოდონ კომპეტენტური პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე; *წარმატების აღიარება:* სკოლის უშუალო ინიციატივითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით, დაწესებულებამ წარადგინა პედაგოგი „საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულზე, რომელიც მას წარმატებით მიენიჭა; *საჭიროებებზე რეაგირება (ინკლუზიური განათლება):* მასწავლებლების მიერ ინკლუზიური განათლების მიმართულებით იდენტიფიცირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სკოლა აქტიურად იძიებს კერძო თუ უფასო პრაქტიკულ ტრენინგებს და აწვდის მათ პედაგოგებს; *გარე რესურსების გამოყენება:* სკოლა და მისი პერსონალი აქტიურად იყენებს „პროფკავშირების“ მიერ შეთავაზებულ უფასო ტრენინგებს, შუამავლობასა და სხვა მხარდამჭერ სერვისებს; *კოლაბორაციული ინიციატივები:* მშობელთა ინიციატივით სკოლაში მოწვეულ იქნა ფსიქოლოგი და ჩატარდა ერთობლივი შეხვედრა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, რასაც სკოლამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 2.1 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025.ივანდიდის;
- დანართი 1.1 - სკოლის პერსონალთა სამუშაო აღწერილობა და მართვის პოლიტიკა;
- დანართი 3 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- დანართი 22 - პერსონალის განვითარების ბრძანება დებულებით;
- დანართი 20 - ბრძანება ხარისხის და პროფესიული ჯგუფის შესახებ;
- დანართი 21 - ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
- დანართი 26 - ივანდიდის სკოლის შინაგანაწესი;
- დანართი 36 - სკოლის 1 წლიანი განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025-2026.ივანდიდი;
- ახალი თანამშრომლის (ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის) შერჩევის საკონკურსო დოკუმენტაცია: *(დანართი 31 - კომისიის შექმნის ბრძანება; დანართები 28, 29, 30 - საკონკურსო კომისიის ოქმები);*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის მიზნით, შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“, რომელიც მკაფიოდ ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ (PDCA - დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, განვითარება) ციკლს. ხარისხის განვითარების ხელშეწყობის ეს შიდა მექანიზმები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემსახურება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდულ, სისტემურ შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

სკოლის მართვის პროცესში აქტიურად არის ჩართული ყველა სტრუქტურული რგოლი: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი მიზნობრივი მუშაობა და კოორდინაცია უზრუნველყოფს სკოლის განვითარებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. ამ პროცესული მიდგომის პრაქტიკული დადასტურებაა ის ფაქტი, რომ „დაგეგმვის“ ეტაპზე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა, ხოლო სასწავლო პროცესის ფორმირებაში, საჭიროებების კვლევის საფუძველზე, უშუალოდ არიან ჩართულნი მშობლები (მაგალითად, მეორე უცხო ენის არჩევის პროცესში). თავის მხრივ,

პროცესების „შემოწმებისა“ და „რეაგირების“ ეტაპებს მყარად აზღვევს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები და სკოლაში დანერგილი „გასაჩივრების მექანიზმი“.

ამასთან, საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნული დოკუმენტით მუშაობის პრაქტიკამ აჩვენა მისი გაუმჯობესებისა და სკოლის საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგების აუცილებლობა. ადმინისტრაციის ეს ხედვა სავსებით რეალისტური და პოზიტიურია, რადგან ადასტურებს, რომ აღნიშნული პროცესები სკოლაში არ არის ფორმალური ან სტატიკური; პირიქით, ის ექვემდებარება მუდმივ რეფლექსიას, საჭიროებს მუდმივ განვითარებასა და დახვეწას, რაც ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ეტაპია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებას მკაფიოდ აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი ყველა ის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ და მაღალხარისხიან მიმდინარეობას. სკოლაში მიმდინარე საქმიანობა არის დაყოფილი და სტრუქტურირებული სამ ძირითად მიმართულებად:

მმართველობითი პროცესები: მოიცავს სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვას, ლიდერობასა და ხარისხის უზრუნველყოფას. ეს პროცესები დეტალურად არის აღწერილი სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასა და „ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში“. ამ პროცესების მართვაში ეფექტიანად არიან ჩართულნი კოლეგიალური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო), რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობასა და მონაწილეობით მიდგომას.

ძირითადი პროცესები: აერთიანებს უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობას - სწავლა-სწავლების პროცესს, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასა და შეფასებას. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმითა და „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ დებულებით, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, კურიკულუმების შეფასებასა და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზს.

დამხმარე პროცესები: მოიცავს იმ სასიცოცხლო ციკლებს, რომლებიც ქმნის ძირითადი პროცესების განხორციელების საფუძველს. ესენია: ადამიანური რესურსების მართვა (რეგულირდება „შინაგანაწესითა“ და HR პოლიტიკით), ფინანსური

ადმინისტრირება (რეგულირდება ბიუჯეტითა და შესყიდვების გეგმით), ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (რეგულირდება უსაფრთხოების წესებითა და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებით).

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრებამ ნათლად აჩვენა, რომ პროცესების ეს იდენტიფიკაცია არ ატარებს მხოლოდ თეორიულ, ქაღალდზე დაწერილ ხასიათს. პრაქტიკაში თითოეულ პროცესზე მკაფიოდ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული (მაგალითად: შესყიდვების კოორდინატორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მართვის ჯგუფი). დასაქმებულებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი როლი და ფუნქცია-მოვალეობები ამ ერთიან ეკოსისტემაში, რაც საერთო ჯამში განაპირობებს სკოლის ეფექტიან, შეთანხმებულ და შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია პრეტენზიების, საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფორმალიზებული მექანიზმი. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N2-69 ბრძანებით დამტკიცებულია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლების) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებსა და ვადებს. მექანიზმი ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიის შექმნასა და მის მიერ საჩივრების (მათ შორის, სასწავლო პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების) ობიექტურ, დადგენილ ვადებში განხილვას, რაც სრულ შესაბამისობაშია გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი პრაქტიკული გარემოება: სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან გამართული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მიმდინარე პერიოდში სკოლაში არცერთი ოფიციალური საჩივარი არ დაფიქსირებულა. საჩივრების პრაქტიკაში არარსებობა, ერთი მხრივ, მიუთითებს სკოლაში არსებულ ჯანსაღ კლიმატსა და მხარეებს შორის ეფექტიან, პრევენციულ კომუნიკაციაზე (როდესაც საკითხები ფორმალურ გასაჩივრებამდე, სამუშაო რეჟიმში გვარდება). მეორე მხრივ, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია თავისი უფლებების შესახებ და საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სკოლას აქვს

სრულყოფილი ინსტიტუციური მზაობა (სამართლებრივი ჩარჩო), რათა ობიექტურად და კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილოს ნებისმიერი საჩივარი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების კომპლექსური ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია პერსონალისა და მშობელთა კანონიერი უფლებების დაცვის სისტემა, რომელიც თანაბრად ეფუძნება როგორც პრევენციულ, ისე ფორმალურ-სამართლებრივ მექანიზმებს. კერძოდ, დასაქმებულთა შრომითი უფლებები და დაცვა დისკრიმინაციული ან არაეთიკური მოპყრობისგან მკაცრად არის გარანტირებული სკოლის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით; პარალელურად, სრულად არის რეალიზებული მშობელთა უფლება, მონაწილეობდნენ შვილის საგანმანათლებლო პროცესში, რისი ნათელი პრაქტიკული მაგალითიცაა მათი უშუალო ჩართულობა სხვადასხვა ინიციატივებში. ამ თანამშრომლობით გარემოს ინსტიტუციურად კრავს და აზღვევს სკოლაში დანერგილი „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც ნებისმიერი სავარაუდო უფლებადარღვევის ობიექტური და სამართლიანი განხილვის გარანტიას ქმნის, ხოლო ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული უკონფლიქტო კლიმატი და ოფიციალური საჩივრების არარსებობა ცალსახად ადასტურებს, რომ დაწესებულებაში აღნიშნული მექანიზმები არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და პრევენციულ დონეზე მუშაობს პრაქტიკაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 მისი დამტკიცების შესახებ (დანართი 44).
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება (დანართი 37);
- სკოლის შინაგანაწესი (დანართი 39);
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი და ბრძანება (დანართი 38);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბრძანება (დანართი 40);
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1 – მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე (დანართი 41);
- IV კლასის მშობელთა კრების ოქმი N5 – მეორე უცხო ენის არჩევის თაობაზე (დანართი 43);
- უცხო ენის არჩევის / სადამრიგებლო პროგრამის დოკუმენტაცია (დანართი 42).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ჩანაწერებით და იგი ქმედითი სამეტაპიანი ციკლის სახით ხორციელდება პრაქტიკაში. პირველ რიგში, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების უწყვეტ ინფორმირებას როგორც ტრადიციული (სასკოლო სივრცეში გამოკრული ინფორმაცია), ისე აქტიური ციფრული არხების (ვებგვერდი, სოციალური ქსელები და ყოველდღიურად განახლებადი ელექტრონული ჟურნალი) გამოყენებით, რაც მშობლებსა და მოსწავლეებს მუდმივ წვდომას აძლევს საჭირო ინფორმაციაზე. მეორე ეტაპზე, დაწესებულება სრულად ღიაა უკუკავშირისთვის და ამ პროცესს ხელს უწყობს როგორც ინსტიტუციური ბერკეტებით (მრჩეველთა საბჭო, საჩივრების განხილვის წესი), ასევე უშუალო კომუნიკაციის საუკეთესო პრაქტიკით - ყოველკვირეული „პარასკევის ვიზიტების“ ფორმატით, სადაც მშობლებს აქვთ ადმინისტრაციასთან პირისპირ კომუნიკაციის კომფორტული შესაძლებლობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ (მესამე ეტაპი) მიღებული უკუკავშირი სკოლისთვის წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების რეალურ საფუძველს და არ რჩება რეაგირების გარეშე. რისი ნათელი, პრაქტიკული დადასტურებაცაა უშუალოდ მშობელთა კენჭისყრის შედეგად მეორე უცხო ენის (რუსულის) არჩევა, მრჩეველთა საბჭოში დაყენებული უკუკავშირის საფუძველზე საგზაო უსაფრთხოების (ზებრა-გადასასვლელის) მოსაწესრიგებლად დაწყებული ღონისძიებები, მშობელთა თხოვნით სასკოლო სივრცეში ფსიქოლოგის მოწვევა და სხვა მაგალითები. ეს ყოველივე ერთობლიობაში ქმნის გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და თანამშრომლობაზე მყარად დაფუძნებულ მმართველობით სისტემას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სამეურვეო, პედაგოგიური და მრჩეველთა საბჭოების ოქმები, ასევე მშობელთა კრების ოქმები) და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით მკაფიოდ იკვეთება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიური ჩართულობა როგორც მართვის კოლეგიალურ ორგანოებში, ისე ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობის მაგალითია სკოლაში შექმნილი „მრჩეველთა საბჭო", რომლის შემადგენლობაშიც ადმინისტრაციასთან ერთად თანაბრად არიან წარმოდგენილნი პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, სამეურვეო საბჭოს (მშობელი) და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები (თავმჯდომარეები). სწორედ ამ მრავალმხრივ ფორმატში ხდება სკოლის წინაშე არსებული ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების განხილვა, როგორიცაა მოსწავლეთა უსაფრთხოება და დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, სამეურვეო საბჭო (სადაც წარმოდგენილნი არიან მშობლები და მასწავლებლები), როგორც უმაღლესი მმართველი რგოლი, უშუალოდ მონაწილეობს და ამტკიცებს სკოლის გრძელვადიან სტრატეგიულ სამოქმედო გეგმასა და წლიურ ბიუჯეტს, ხოლო პედაგოგიური საბჭო უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის შეთანხმება-დამტკიცებას. რაც შეეხება სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების პრაქტიკულ ჩართულობას, იგი დასტურდება არაერთი ინიციატივითა და რეალური ქმედებით: უშუალოდ მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებითა და მათი კენჭისყრით წყდება მნიშვნელოვანი აკადემიური საკითხები; მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად ბავშვების ინიციატივით დაფუძნებულია და აქტიურად ფუნქციონირებს ეკოკლუბი; ხოლო მშობელთა ინიციატივით სკოლაში ორგანიზებული ფსიქოლოგის ვიზიტი და დანერგილი „პარასკევის ვიზიტების" (ღია კარის) პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის მართვა და ფილოსოფია სრულად ეფუძნება ღიაობის, თანამშრომლობისა და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური თანამონაწილეობის პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი (დანართი 39 / 26);
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის ბრძანება და წესი (დანართი 38);
- სკოლისა და მასწავლებელთა სოციალური (Facebook) გვერდების კატალოგი (დანართი 64) ;
- ეკოკლუბის დებულება (დანართი 74);

- მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის შესახებ ბრძანება (დანართი 40);
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1 (დანართი 41);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 (დანართი 44);
- IV კლასის მშობელთა კრების ოქმი N5 (დანართი 43);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

- სკოლაში დანერგილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები. დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უშუალოდ

უზრუნველყოფს სასკოლო გარემოში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. მის ფუნქციებში შედის სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლა-გასვლის მკაცრი კონტროლი, რაც ყოველდღიურ რეჟიმში, სათანადოდ აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. ტერიტორიის მუდმივი ფიზიკური კონტროლის მიზნით, სკოლის შტატით გათვალისწინებულია და დასაქმებულია 2 დარაჯი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, შიდა სივრცეებში მოსწავლეთა ნაკადების უსაფრთხო მართვისთვის შემუშავებულია და აქტიურად ფუნქციონირებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. ფიზიკური დაცვის მექანიზმების პარალელურად, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ჩართულია სკოლის კოლეგიალური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რაც პროცესების გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს.

- სკოლის ადმინისტრაციას განხორციელებული აქვს ოფიციალური მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან) შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მართალია, სკოლის მიერ წარმოდგენილია ოფიციალური მიმართვა შესაბამის უწყებაში აღნიშნული გეგმის შეთანხმების თაობაზე, თუმცა ამ ეტაპზე დოკუმენტი არ არის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის არარსებობა ზრდის კრიზისულ ვითარებაში (ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები) სკოლის მხრიდან არაორგანიზებული და არაეფექტიანი რეაგირების რისკს, რაც პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა და პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან. ვინაიდან ეს ხარვეზი სკოლას უკვე გატანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და მისი უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება/დამტკიცება არაუგვიანეს 2026 წლის 17 დეკემბრისა;**

- საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებისა და შენობის ფიზიკური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლა არ არის აღჭურვილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი **ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით**. აღნიშნული გარემოება ქმნის ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მუდმივი მონიტორინგის დეფიციტს. სკოლას ეს შეუსაბამობა თვითშეფასების პროცესშივე აქვს იდენტიფიცირებული და ასახული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“, სადაც დეტალურად არის გაწერილი აღჭურვისთვის საჭირო აქტივობები, რესურსები და შესაძლო რისკები. სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს დაწესებულების აღჭურვა შესაბამისი ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკით, „ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და მოქმედი საგანმანათლებლო რეგულაციების სრული დაცვით, არაუგვიანეს 2027 წლის 29 დეკემბრისა.**

- სკოლის ტერიტორიაზე, საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, განთავსებულია სულ 5 შენობა-ნაგებობა (1 ძირითადი სასწავლო კორპუსი და 4 დამხმარე ნაგებობა). ტერიტორიის ფიზიკური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გარკვეულწილად უზრუნველყოფს ეზოში არსებული პოტენციურად საფრთხის შემცველი ობიექტების იზოლირებას. კერძოდ, სკოლის ეზოში არსებული ძველი, გაუქმებული და ამოუვსებელი აუზი უსაფრთხოების მიზნით სათანადოდ არის შემოღობილი. ასევე, იზოლირებული და დაკეტილია ერთ-ერთი დამხმარე შენობა, სადაც განთავსებულია სკოლის მთავარი ელექტროგამანაწილებელი კვანძი (საიდანაც ელექტროენერგია მიეწოდება ძირითად შენობას), რაც ამცირებს ელექტროუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით დასკვნის პროექტში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ხარვეზი, რადგან სკოლის ეზოში არსებული დამატებითი შენობა-ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია შეშის მარაგის შესანახად, არ იყო უსაფრთხო (შემოღობილი ან სხვაგვარად იზოლირებული). მართალია, აღნიშნული საცავიდან სკოლის პერსონალი ყოველდღიურ რეჟიმში ამარაგებს საკლასო ოთახებს შეშით და სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, თუმცა, ტერიტორიაზე ავტომატური ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის არარსებობის პირობებში, მხოლოდ ადამიანური რესურსით (მორიგეობით) კონტროლი არასაკმარისია. შესაბამისად, ღია და არაიზოლირებული შეშის საცავი მოსწავლეებისთვის წარმოადგენს საფრთხის შემცველ გარემოს და ქმნის მათი ტრავმირების მაღალ რისკს. აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დასტურდებოდა სკოლაში შესაბამისი მატერიალური რესურსის (შემოსაღობი მასალის) არსებობა, თუმცა ამ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში შენობა კვლავ შემოუღობავი იყო და უსაფრთხოების რისკები მოუხსნელი რჩებოდა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში შესრულებული აქტივობები და დაძლეული ხარვეზის მტკიცებულებები, კერძოდ - სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოდგენილი ფოტო-მასალა ცხადყოფს სკოლაში შეშის მარაგის შესანახად განკუთვნილი შენობა-ნაგებობის შემოღობვას, რაც მოსწავლეთა უსაფრთხოების პრევენციას ემსახურება.
- თვითშეფასების პროცესში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რის გამოც აღნიშნული საკითხი ასახული იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N5001648226), რითაც შეასრულა გეგმით გათვალისწინებული აქტივობა. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა **ხარვეზი: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობისსასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა: „ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის შენობის (ნაგებობა N01) ვიზუალური დათვალიერებითა და**

საარქივო მასალების შესწავლით დგინდება, რომ შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, არსებული დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე, ფასდება როგორც <u>არადამაკმაყოფილებელი.</u>" აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ფიზიკურად მოიპოვა დოკუმენტი, შენობის რეალური ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის სტანდარტებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაგზავნილი წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (**N MES 2 26 0000327331, 18/03/2026**). წერილით სკოლის ადმინისტრაცია მიმართავს ექსპერტიზის ბიუროს და მიუთითებს მათ მიერ ადრე გაცემულ დასკვნაზე (**N 000112126**). სკოლა განმარტავს, რომ აღნიშნულ დასკვნაში **არ არის დაკონკრეტებული** შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ოფიციალურად ითხოვს ბიუროს მიერ დამატებითი დოკუმენტის გამოგზავნას, რომელშიც დეტალურად იქნება აღნიშნული, რომ შენობა-ნაგებობა უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის და არ არის ავარიული. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიმდინარე წლის 16 აპრილს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შეუსაბამობად გაწერილი აქვს „უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ არადამაკმაყოფილებელი დასკვნა", შესაბამისობის ტიპად მითითებული აქვთ „მეტწილი", დაწყების ვადა გაწერილია 18.03.2026 ხოლო დასრულების ვადა 17.12.2026, თუმცა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმაში „მეტწილად" გაწერილი ინდიკატორი ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა „მეტწილ შესაბამისობად", დასკვნით ნაწილში ინდიკატორში კვლავ აღწერილია ხარვეზი და შეფასებულია „არ შეესაბამებად".

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში სამედიცინო კაბინეტის დათვალიერებითა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში ძირითადად დანერგილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი (ექიმი), რომელიც სრულად ფლობს ინფორმაციას თავისი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. სკოლის ექიმთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება და მის პირად საქმეში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმეტები, რომელიც შესაბამისობაშია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ

ბრძანებასთან. სამედიცინო კაბინეტში მოწესრიგებულია დოკუმენტბრუნვა: იწარმოება პაციენტების აღრიცხვის ჟურნალი, მედიკამენტების ხარჯვისა და მიღების ჟურნალები, ასევე მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები.

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური გარემოებებისა, ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სამედიცინო კაბინეტის შემოწმებისას გამოიკვეთა შეუსაბამობა საჯარო სკოლაში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისათვის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების „სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის"(მუხლი 4) ნაწილში. ხარვეზი: სამედიცინო კაბინეტი არ იყო სრულად აღჭურვილი მოქმედი კანონმდებლობით („2022 წლის 21 მარტის ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მუხლი 4 სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა") გათვალისწინებული სავალდებულო მედიკამენტებითა და ინვენტარით. კერძოდ, ადგილზე არ აღმოჩნდა პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების უმრავლესობა, ასევე არ იყო წარმოდგენილი ნუსხით განსაზღვრული რიგი ნივთები (კედლის საათი წამზომით, მუშა მდგომარეობაში მყოფი პულსოქსიმეტრი, კისრის ფიქსატორი და სხვა). აღნიშნული რესურსების არქონა პირდაპირ აფერხებდა ექიმის შესაძლებლობას, კრიტიკულ სიტუაციაში სრულფასოვნად და ეფექტიანად აღმოეჩინა პირველადი დახმარება მოსწავლისა თუ პერსონალისთვის.

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სრულად აღმოფხვრა დაფიქსირებული შეუსაბამობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (შესყიდვის დოკუმენტაცია და ფოტომასალა) დასტურდება შემდეგი:

- ინვენტარის სრული აღჭურვა: სამედიცინო კაბინეტი შეივსო ნუსხით განსაზღვრული ყველა საჭირო ნივთით, მათ შორის: მუშა მდგომარეობაში მყოფი პულსოქსიმეტრით, კისრის ფიქსატორით (სხვადასხვა ზომის) და კედლის საათით წამზომით. ადგილზეა თერმომეტრები, ტონომეტრები და სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებები (ბინტები, ფიქსატორები, სადეზინფექციო ხსნარები), რაც შეესაბამება №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ სტანდარტებს.
- მედიკამენტების მარაგი: წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების სრული ნუსხის არსებობა, რომლებიც განთავსებულია შესაბამის კარადის თაროებსა და სამედიცინო ჩანთებში.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლამ ხარვეზი სრულად დაძლია. სამედიცინო კაბინეტი ამჟამად აღჭურვილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო რესურსით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმები. დაწესებულებაში მოქმედებს მკაფიოდ განსაზღვრული წესები, რომლებიც მიზნად ისახავს ძალადობის პრევენციას, კონფლიქტური სიტუაციების მართვასა და ბავშვთა უფლებების დაცვას.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც:

- **ბავშვთა დაცვის მიმართვიანობა (რეფერირება):** განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორის მოადგილე. მას დავალებული აქვს ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში კანონმდებლობითა და სკოლის შიდა ინსტრუქციით დადგენილი რეფერირების ღონისძიებების გატარება.
- **ძალადობის პრევენცია:** სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო განათლების მასწავლებელი), რომელიც პასუხისმგებელია ქალთა მიმართ ან ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებზე ინფორმაციის ოპერატიულ მიწოდებაზე პოლიციისა თუ სხვა უწყებებისთვის.
- **ზედაპირული დათვალიერება:** დირექტორის აქტით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მოსწავლისა და მისი ნივთების უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აკრძალული ნივთების პრევენციის მნიშვნელოვანი ბერკეტია.
- **უსაფრთხოება და წესრიგი:** სკოლაში არ მუშაობს მანდატურის სამსახური, ამიტომ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობის მიზნით, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი.

ვიზიტის დროს გამოკვეთილი მიგნებებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ადამიანური რესურსებისა და სამართლებრივი აქტების მეშვეობით. სკოლას ამ ეტაპზე არ არის აღჭურვილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით (რაც რეკომენდაციად დაფიქსირდა წინა ინდიკატორში) და არ ჰყავს მანდატური, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადობრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული უფლებამოსილი პირების საქმიანობა და მორიგეობის სისტემა მნიშვნელოვნად აბალანსებს რისკებს და უზრუნველყოფს სტაბილურ სასწავლო გარემოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. დაწესებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური რეგულაციებით და ორიენტირებულია პრაქტიკული, შედეგზე გათვლილი მექანიზმების დანერგვაზე.

სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები და პოზიტიური მიგნებები მოიცავს:

- *პრაქტიკული თანამშრომლობა და პროექტები:* სკოლის დირექტორის ბრძანებითა და ორგანიზებით, მასწავლებლები ჩართულები იყვნენ ასოციაცია „ათინათის“ პროექტში. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში, სისტემატურად (თვეში ერთხელ) ხორციელდებოდა კვალიფიციური ფსიქოლოგის მომსახურება, რაც მოიცავდა მიზნობრივ შეხვედრებსა და კონსულტაციებს მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან.
- *ემოციური მხარდაჭერა და პროფორიენტაცია:* პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასთან ერთად, ფარავდა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტირებას, რაც ხელს უწყობს მოზარდებში თვითრეალიზაციას და ამცირებს გაურკვევლობით გამოწვეულ ემოციურ სტრესს.
- *პრევენციული ღონისძიებები:* სკოლას შემუშავებული აქვს და საჯაროდ განთავსებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები. დაწესებულებაში განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ძალადობის შესაძლო ფაქტების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებაზე.
- *ინფორმირებულობა და კომუნიკაცია:* სკოლაში მოქმედებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმი, რაზეც პასუხისმგებელი პირის ვინაობა ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული სამართლებრივი ბაზა ქმნის დაცულობის განცდას და უზრუნველყოფს ემოციურად სტაბილურ გარემოს.

ვიზიტის დროს გამოკვეთილი პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ სკოლა თანმიმდევრულად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც დაცულია თითოეული წევრის ემოციური კეთილდღეობა. გარე რესურსების (ფსიქოლოგების) ჩართვა და მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული ზრდა ამ მიმართულებით, დაწესებულების მხრიდან სტრატეგიულ და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომაზე მიუთითებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ფიზიკური დათვალიერებითა და დოკუმენტური შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ხორციელდება სისტემურად და ორგანიზებულად. სასწავლო სივრცეები და სველი წერტილები ვიზუალურად სუფთად გამოიყურება, რაც მიუთითებს ტექნიკური პერსონალის მიერ მოვალეობების ჯეროვან შესრულებაზე.

ჰიგიენური სტანდარტების მართვის პროცესში იკვეთება შემდეგი პოზიტიური გარემოებები:

- *მონიტორინგის მექანიზმი:* სკოლის შიდა რეგულაციებით (ხელშეკრულებებითა და ფუნქცია-მოვალეობებით), დალაგების ხარისხის შემოწმება და სანიტარულ ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია ექიმსა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორზე (მტუკი). ექიმი ახორციელებს პროცესის ჰიგიენურ მონიტორინგს, ხოლო მტუკი ზედამხედველობს ტექნიკური პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობას.
- *დაგეგმარება და გამჭვირვალობა:* სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია დალაგების განრიგი, რაც უზრუნველყოფს ჰიგიენური პროცედურების პერიოდულობისა და თანმიმდევრულობის დაცვას.
- *მატერიალური რესურსებით მომარაგება:* ვიზიტის დროს დათვალიერდა მტუკის სათავსო, სადაც წარმოდგენილია სანიტარულ-ჰიგიენური ინვენტარის, სადეზინფექციო ხსნარებისა და ჰიგიენური საშუალებების სათანადო მარაგი. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა დროულად და სრულყოფილად ახორციელებს საჭირო რესურსების შესყიდვასა და მობილიზებას.
- *პერსონალის ინფორმირებულობა:* სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს დამლაგებლების ინსტრუქტაჟს ხსნარების მომზადების, გამოყენებისა და ნარჩენების მართვის წესებთან დაკავშირებით.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგრადი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთათვის და პერსონალისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას გააზრებული აქვს მონაცემთა დამუშავების პასუხისმგებლობა და დანერგილი აქვს როგორც სამართლებრივი, ისე ორგანიზაციული ბერკეტები ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. სკოლაში მონაცემთა დაცვის კუთხით იკვეთება შემდეგი მიგნებები:

- *სამართლებრივი ბაზა:* სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის წესის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და დამუშავების პრინციპებს. დოკუმენტი დეტალურად ფარავს როგორც თანამშრომელთა და მოსწავლეთა, ისე ვიზიტორთა მონაცემების დაცვის ასპექტებს.
- *უფლებამოსილი პირები:* პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე უფლებამოსილ პირად დანიშნულია სკოლის საქმისმწარმოებელი. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი) საჯაროდ არის გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას.
- *წვდომის კონტროლი:* მონაცემებზე წვდომა მკაცრად არის დიფერენცირებული უფლებამოსილ პირთა შორის (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი) მათი კომპეტენციის ფარგლებში. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.
- *ელექტრონული უსაფრთხოება:* სკოლა იყენებს ელექტრონულ ბაზებს (eschool.emis.ge, Teams, eflow), სადაც მონაცემთა დაცვა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის მეშვეობით. დებულებით აკრძალულია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო განხილვა/გავრცელება.
- *მონიტორინგი:* დაწესებულებაში ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემატური მონიტორინგი, რაც მოიცავს როგორც დოკუმენტბრუნვის შემოწმებას, ისე პერსონალის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც ქმნის გარანტიას პერსონალური ინფორმაციის არაკანონიერი გამოყენების პრევენციისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში არსებული ინფორმაცია დაცულია და უზრუნველყოფილია მისი კონფიდენციალურობა. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ აქტებს. აღნიშნული წესი ვრცელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მონაცემთა ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებითა და დოკუმენტური შესწავლით დასტურდება, რომ: *ფიზიკური დაცვა:* მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, საარქივო დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის ფორმები და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, ინახება საქმისმწარმოებლის ოთახსა და დირექტორის კაბინეტში განთავსებულ დაკეტილ კარადებში, რომლებიც ხელმისაწვდომი არ

არის გარეშე პირებისთვის. მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები და სხვა მსგავსი დოკუმენტაცია დაარქივებულია და დაცულია იზოლირებულ სივრცეში; *ელექტრონული დაცვა:* სკოლის კომპიუტერები, რომლებზეც ინახება სამსახურებრივი ინფორმაცია, დაცულია ინდივიდუალური პაროლებით. სკოლა სრულად არის ჩართული საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eFlow) და საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზებში (eschool.emis.ge), სადაც ინფორმაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს (დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი) პერსონალური ავტორიზაციის მექანიზმების გამოყენებით; *ტექნიკური მართვა:* სკოლაში გამოყოფილია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი (ისტი), რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური გამართულობისა და ციფრული უსაფრთხოების მონიტორინგს; *კონფიდენციალურობა:* ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პერსონალს გააზრებული აქვს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულება, რაც ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა სისტემატურად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და მიღებულ შედეგებს აქტიურად იყენებს არსებული გარემოს გასაუმჯობესებლად, რაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ავტორიზაციისთვის მომზადების პროცესში ჩატარებული კომპლექსური თვითშეფასებით. სწორედ ამ შიდა მონიტორინგის საფუძველზე მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საჭიროებების იდენტიფიცირება, როგორიცაა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება, რაც შემდგომში აისახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. უსაფრთხოების მექანიზმების მუდმივ კონტროლს უზრუნველყოფენ სპეციალურად დანიშნული პასუხისმგებელი პირები, რომლებიც შერჩევითი პრინციპით ამოწმებენ უსაფრთხოების წესების დაცვას, ხოლო მტუკისა და ექიმის მიერ ხორციელდება ჰიგიენური და სამედიცინო რესურსების პერიოდული ინვენტარიზაცია. ამასთან, სკოლა აანალიზებს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს, რისი მაგალითიც არის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული პროექტები და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N5001648226);
- სკოლის ოფიციალური მიმართვები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში;
- სამედიცინო პერსონალის (ექიმის) შრომითი ხელშეკრულება და ფუნქცია-მოვალეობები;
- ამბულატორიული პაციენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- მედიკამენტების მიღებისა და ხარჯვის ჟურნალები;
- დირექტორის ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილების შესახებ;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი/ცხრილი;
- სკოლის შიდაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება ორგანიზაცია „ათინათის“ პროექტში ჩართვის შესახებ;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ გამოცემული ბრძანება;
- სკოლის ექიმისა და მტუკის ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობა;
- შენობის დასუფთავებისა და დალაგების განრიგი;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის წესის დებულება“;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ;
- წერილი პეროსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის შესახებ;
- საქმისწარმოების წესი;
- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა სარგებლობს საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურებული 18,976 კვ.მ მიწის ფართობითა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის დოკუმენტით (დანართი 51) დგინდება, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 5 შენობა-ნაგებობა: N01 არის სკოლის მთავარი სასწავლო შენობა; N02, N03, N04 და N05 კი წარმოადგენს ეზოში განთავსებულ დამატებით/დამხმარე შენობა-ნაგებობებს.

სკოლის მთავარი სასწავლო შენობა (საერთო ფართით 2811.3 კვ.მ) არის სამსართულიანი. პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, დირექციის სამუშაო სივრცე, 12 საკლასო ოთახის ნაწილი, შიდა სპორტული დარბაზი, სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ოთახი. მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, საკლასო ოთახების მეორე ნაწილი და სასკოლო კლუბების სამუშაო ოთახი. მესამე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის) ცალ-ცალკე კაბინეტები, დიდი სააქტო დარბაზი, პატარა საკონფერენციო სივრცე (რომელსაც ასევე იყენებენ მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახად), არქივი და ე.წ. „პროფესიული“ ოთახი, სადაც ინახება საკერავი მანქანები და შესაბამისი ინვენტარი.

თითოეულ საკლასო თუ არასაკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლა ავტორიზაციას ითხოვს 250 მოსწავლეზე, რისთვისაც დაწესებულებას აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის სრულიად საკმარისი სასწავლო სივრცე და მატერიალური რესურსი. საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებითა და ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, ხოლო საკონფერენციო და საკლუბო სამუშაო სივრცეებში განთავსებულია ერთადგილიანზე უფრო დიდი ზომის მერხებიც, რაც ხელს უწყობს ჯგუფურ და არაფორმალურ მუშაობას.

ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია პანდუსი (სხვა სართულებზე პანდუსი ან ლიფტი არ არის, თუმცა საერთო სარგებლობის მნიშვნელოვანი სივრცეები და რესურსოთახი განთავსებულია პირველ სართულზე, რაც ხელმისაწვდომობის პრობლემას ხსნის). სველი წერტილები განთავსებულია შენობის შიგნით, პირველ სართულზე და იზოლირებულია: ცალ-ცალკეა მოწყობილი გოგონების, ბიჭების და მასწავლებლების საპირფარეშოები, აქვეა განთავსებული შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილიც.

სკოლას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი, ელექტროენერგია და წყალი. სკოლა თბება შეშის ღუმელების საშუალებით. ყველა სამუშაო და სასწავლო ოთახში დაყენებულია ფართის შესაბამისი რაოდენობის შეშის გამათბობელი. შეშის ძირითადი მარაგი ინახება სკოლის მთავარი შენობის გარეთ ეზოში არსებულ დამატებით/დამხმარე შენობაში, ხოლო ყოველდღიური მოხმარებისთვის მცირე რაოდენობა განთავსებულია უშუალოდ საკლასო ოთახებში.

სკოლის ლაბორატორიები, კაბინეტები და კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია სათანადო სასწავლო-მატერიალური ინვენტარით, რომელთა კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაც ფასდება საგნობრივი ექსპერტების მიერ.

საერთო ჯამში, სკოლის შენობის სტრუქტურა, არსებული სასწავლო და დამხმარე სივრცეები, შიდა სპორტული დარბაზი და მატერიალური აღჭურვილობა შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან და უზრუნველყოფს 250 მოსწავლეზე საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობის ფიზიკური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები შეუფერხებლად და სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული მრავალფეროვანი საერთო სარგებლობის სივრცეებით. კერძოდ, პირველ სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკითა და შიდა სპორტული დარბაზით, მეორე სართულზე არსებული კომპიუტერული ლაბორატორიითა და სასკოლო კლუბების სამუშაო ოთახით, ასევე მესამე სართულზე მოწყობილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კაბინეტებით, დიდი სააქტო და მცირე საკონფერენციო დარბაზებით (რომელიც ასევე ემსახურება მოსწავლეთა თვითმმართველობის შეკრებებს). როგორც მოსწავლეებთან, ისე

პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო თუ კლასგარეშე (არაფორმალური) აქტივობების დროს, მათ აქვთ შეუზღუდავი წვდომა აღნიშნულ სივრცეებზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსებზე (კომპიუტერები, წიგნადი ფონდი, ლაბორატორიული აღჭურვილობა და სხვ.). ინფრასტრუქტურული რესურსების გადანაწილება შენობის სამივე სართულზე ლოგიკურია, არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და სასკოლო ცხოვრების ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის მთავარი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლებისთვის) საბიბლიოთეკო სერვისების შეუფერხებელ მიწოდებას. ბიბლიოთეკის მუშაობა, მისი მიზნები და მკითხველთა მომსახურების წესები მკაფიოდ არის დარეგულირებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N2-64 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებით“.

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის ფიზიკური დათვალიერებითა და წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი (როგორც გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ლიტერატურა) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების სრული დაცვით. კერძოდ, წიგნები სათანადოდ არის აღრიცხული, გატარებულია ინვენტარიზაციაში, დასტამბულია და ანბანური წესით არის განლაგებული თაროებზე, რაც უზრუნველყოფს მათ მარტივ მოძიებასა და აღრიცხვიანობას.

ვიზიტის დროს ბიბლიოთეკართან გასაუბრებამ და პრაქტიკის შეფასებამ აჩვენა, რომ დაწესებულება ზედმიწევნით და თანმიმდევრულად მიჰყვება საკუთარ „ბიბლიოთეკის დებულებას“. ფორმალიზებულია მკითხველთა რეგისტრაციისა და წიგნის გაცემა-დაბრუნების კონტროლის მექანიზმები. ამასთან, ბიბლიოთეკარსა და ადმინისტრაციას სრულად აქვთ გააზრებული დებულებით განსაზღვრული რისკ-მენეჯმენტის პროცედურები, მათ შორის - წიგნადი ფონდის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევებზე რეაგირება. კერძოდ, დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში სკოლაში მოქმედებს დამოუკიდებელი კომისია (ბიბლიოთეკარის, ბუღალტრისა და შესაბამისი პირების შემადგენლობით), რომელიც აფასებს ზარალს, ხოლო მკითხველი ვალდებულებას იღებს წიგნი ჩაანაცვლოს იდენტური დასახელების ან შინაარსობრივად ტოლფასი ლიტერატურით. აღნიშნული წესის პრაქტიკაში არსებობა მკითხველს (მოსწავლეს) უვითარებს პასუხისმგებლობისა და საერთო სასკოლო ქონების გაფრთხილების უნარს. შესაბამისად, ბიბლიოთეკა წარმოადგენს

არა მხოლოდ წიგნების ფიზიკურ საცავს, არამედ წესრიგზე, მკითხველის პასუხისმგებლობასა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე სრულად მორგებულ, ეფექტიანად მართულ სივრცეს.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები, ძირითადად, ღია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებსა და პერსონალს თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ საერთო სარგებლობის სივრცეებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, საკლუბო და საკონფერენციო ოთახები).

თუმცა, ინკლუზიური გარემოსა და შშმ პირთა უსაფრთხო და დამოუკიდებელი გადაადგილების სრული უზრუნველყოფის კუთხით ფიქსირდება ფიზიკური ბარიერი: სკოლის სამსართულიან შენობაში, ამ ეტაპზე, არ არის მოწყობილი სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსები ან ლიფტი. მიუხედავად იმისა, რომ შენობის პირველ სართულზე უზრუნველყოფილია გარე პანდუსი, რესურსოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი, მეორე და მესამე სართულებზე განთავსებულ რესურსებზე (მაგალითად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი) ეტლით მოსარგებლე პირთა დამოუკიდებელი წვდომა შეზღუდულია. სკოლის ადმინისტრაციას მკაფიოდ აქვს იდენტიფიცირებული აღნიშნული საჭიროება და არსებული ხარვეზი გატანილია დაწესებულების „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“. ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება წარმოდგენილ გეგმას, რადგან იგი მიმართულია ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემის ეტაპობრივი და რეალისტური მოგვარებისკენ.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: სკოლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის სკოლის პირველი სართულის გარდა თითოეული სართულის ხელმისაწვდომობა არაუგვიანეს 2027 წლის 29 დეკემბრისა.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები სრულად, ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენება სასკოლო საზოგადოების სოციო-კულტურული განვითარებისთვის. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური საგაკვეთილო პროცესით და რეალურად წარმოადგენს მოსწავლეებისა და ადგილობრივი თემის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს. ამის დასადასტურებლად, სკოლას გააჩნია სპეციალურად გამოყოფილი, მრავალფეროვანი სივრცეები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება არაფორმალურ განათლებასა და სოციალიზაციას:

- სააქტო და საკონფერენციო დარბაზები: მესამე სართულზე განთავსებული დიდი სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სასკოლო ზეიმების, კულტურული ღონისძიებების, გამოფენებისა და პრეზენტაციებისთვის. აქვე არსებული მცირე საკონფერენციო სივრცე, რომელსაც მოსწავლეთა თვითმმართველობა იყენებს, ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, დებატებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.
- საკლუბო სივრცე და ბიბლიოთეკა: მეორე სართულზე მოწყობილი კლუბების ოთახი (სადაც, მაგალითად, ეკოკლუბი მუშაობს) და პირველ სართულზე არსებული ბიბლიოთეკა ქმნის იდეალურ გარემოს ინტელექტუალური, შემოქმედებითი და საზიარო ინტერესების მქონე ჯგუფების სამუშაოდ.
- ესთეტიკური და სოციალური გარემო დერეფნებში: სკოლის ნათელი და ვრცელი დერეფნები არ არის მხოლოდ ტრანზიტული სივრცე; ისინი გაფორმებულია მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრებით, ნახატებით, პოსტერებითა და მიღწევების ამსახველი სიგელებით. ეს სკოლის შიდა ინტერიერს ესთეტიკურ და კულტურულ დატვირთვას სძენს, მოსწავლეებს კი დასვენების დროს თავისუფალი და პოზიტიური კომუნიკაციის საშუალებას აძლევს.
- სარეკრეაციო სივრცე (ეზო): სკოლის საკუთრებაში არსებული მასშტაბური ეზო აქტიურად გამოიყენება არა მხოლოდ ფიზიკური და სპორტული აქტივობებისთვის, არამედ მოსწავლეთა განტვირთვის, ეკოლოგიური დაკვირვებებისა და ღია ცის ქვეშ სოციალური შეკრებებისთვის.

გარდა მოსწავლეებისა, სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება მშობლებთან და თემთან დაახლოებას. დანერგილი პრაქტიკა და საინფორმაციო თუ სხვადასხვა აქტივობებისთვის/ შეხვედრებისთვის სკოლის სივრცეების გამოყენება ადასტურებს, რომ შენობა ღიაა საზოგადოებისთვის.

ყოველივე ეს ერთობლიობაში ცხადყოფს, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს არსებულ მატერიალურ რესურსებს, რათა მოსწავლეებს შეუქმნას კომფორტული სოციო-კულტურული გარემო და ხელი შეუწყოს მათში ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი 51);
- შენობის ნახაზი (დანართი 52);
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება და ბრძანება (დანართი 53);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია (დანართი 54 / Excel ფაილები);
- სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სასკოლო კლუბების (მათ შორის, ეკოკლუბის) მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- . მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები/მასალები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლითა და ფიზიკური გარემოს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ კრიტერიუმებს და ეფექტურად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო პროცესებს. სკოლას გააჩნია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რაც სასკოლო საზოგადოებას აძლევს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

სკოლის ტექნიკური აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობა შემდეგია: სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის საერთო რაოდენობა შეადგენს 24 ლეპტოპს. აქედან 15 ლეპტოპი განკუთვნილია მოსწავლეებისთვის, 5 ლეპტოპი ადმინისტრაციისთვის, 1 ლეპტოპი სსსმ ოთახისთვის, 2 ლეპტოპი სამასწავლებლოსთვის და 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა კომპიუტერი (24-ვე ერთეული) არის მუშა მდგომარეობაში და აქტიურად გამოიყენება სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს 4 პრინტერს და 3 პროექტორს. სამუშაო სივრცეებში განთავსებულია სათანადო დაფები პროექტორისთვის, რაც ხელს უწყობს ვიზუალური რესურსების ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერის ოთახი, სადაც შედგენილია სპეციალური განრიგი ისტ-ის გაკვეთილების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცე სრულად არის დატვირთული სასწავლო კვირის განმავლობაში. სკოლის მთელ ტერიტორიას სრულად ფარავს უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi), რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს მოიძიონ და გამოიყენონ თემის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, როგორიცაა ფოტო, ვიდეო და ტექსტური მასალები. სკოლაში გამოყოფილია ტექნიკის გამართულობასა და მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური პროცესების მუდმივ მონიტორინგს.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყენებს აღნიშნულ ინფრასტრუქტურას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში. კერძოდ, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება კურიკულუმების შექმნის, პროექტებზე მუშაობის (მაგალითად, „მწვანე დროშის“ პროექტები) და შემოქმედებითი დავალებების შესრულების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია განვითარების გეგმით გაწერილი სამომავლო საჭიროებები დამატებითი ტექნიკის (20 ლეპტოპი, 8 პროექტორი) თაობაზე, არსებული რესურსი ამ ეტაპზე სრულფასოვნად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმებით. სკოლას შემუშავებული აქვს **„ციფრული განვითარების გეგმა 2025-2026“**, რომელიც წარმოადგენს ძირითად ორიენტირს ტექნოლოგიური რესურსების მართვისა და ხელმისაწვდომობის კუთხით.

ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესი დანერგილია შემდეგი მექანიზმებით:

- *რესურსების განაწილება:* სკოლაში არსებული 24 მუშა მდგომარეობაში მყოფი ლეპტოპი გადანაწილებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე: 15 ერთეული მოსწავლეებისთვის, 5 ადმინისტრაციისთვის, ხოლო დანარჩენი სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკასა და სსსმ ოთახში. აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს ტექნიკის ხელმისაწვდომობას ყველა საჭირო წერტილში.
- *გამოყენების განრიგი:* კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისთვის დადგენილია სპეციალური განრიგი კლასების მიხედვით, რაც გამორიცხავს ნაკადების გადაკვეთას და უზრუნველყოფს ისტ-ის გაკვეთილების შეუფერხებელ მიმდინარეობას.
- *დროებითი სარგებლობის მექანიზმი:* ციფრული განვითარების გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ აქტივობას იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც სახლში არ აქვთ კომპიუტერული ტექნიკა. ასეთ შემთხვევებში სკოლა გასცემს ლეპტოპებს დროებითი სარგებლობისთვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- *პროექტული და არაფორმალური სწავლება:* ტექნიკა ხელმისაწვდომია პროექტული მუშაობისთვის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და შემოქმედებითი დავალებების შესასრულებლად. სკოლას აქვს საკონფერენციო ოთახი და საპრეზენტაციო სივრცეები (ბიბლიოთეკა, ფოიე), სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ პროექტორები და კომპიუტერები.
- *დისტანციური ხელმისაწვდომობა:* სკოლა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში იმ მოსწავლეების/მშობლების ჩართვას, რომლებიც საპატიო მიზეზით ვერ ახერხებენ სკოლაში გამოცხადებას, რისთვისაც გამოიყენება ინტერნეტი და შესაბამისი კომპიუტერული მოწყობილობები.

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პერსონალი და მოსწავლეები ინფორმირებულები არიან ტექნიკით სარგებლობის წესების შესახებ. ინტერნეტი (Wi-Fi) მთლიანად ფარავს სკოლის შენობას, რაც ტექნიკურ რესურსებზე წვდომას კიდევ უფრო მოქნილს ხდის

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა (2025–2026);
- ისტ-ის გაკვეთილების განრიგი კომპიუტერის ოთახში;
- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია საქმისწარმოების ერთიანი სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს.

სკოლის საქმისწარმოების პროცესის სამართლებრივი და ორგანიზაციული გამართულობა დასტურდება შემდეგი მიგნებებით:

- *სამართლებრივი რეგულირება:* სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-71) დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელშიც 2026 წლის 12 იანვარს შევიდა აქტუალური ცვლილებები (ბრძანება MES 8 26 0000009853). აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ერთიან მოთხოვნებს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, შესრულების კონტროლისა და არქივირებისთვის.
- *ელექტრონული საქმისწარმოება:* საქმისწარმოების წესში მკაფიოდ არის ასახული ელექტრონულ ფორმატში მუშაობის მექანიზმები. კერძოდ, სკოლაში შემოსული ყველა სახის დოკუმენტაცია რეგისტრირდება eflow-ს სისტემაში. ასევე, დირექტორის ბრძანებები (მოსწავლეთა მოძრაობის, საკადრო თუ ზოგადი საკითხების შესახებ) აღირიცხება შესაბამის ელექტრონულ სარეგისტრაციო ჟურნალებში.
- *დოკუმენტბრუნვის ციკლი:* განსაზღვრულია დოკუმენტაციის მიღების, დამუშავების, რეგისტრაციისა და პასუხის გაცემის პროცედურები როგორც მატერიალური (ფოსტა), ისე ელექტრონული (Ivandidi@mes.gov.ge) საშუალებებით. წესი დეტალურად აღწერს ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული დასკანერებული დოკუმენტების დამუშავების სპეციფიკას.

- *არქივირება და დაცვა:* საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს დოკუმენტების შენახვის ვადებსა (5 წელი კანცელარიაში) და შემდგომი არქივირების პროცედურებს. დოკუმენტაციის ნუსხა მოიცავს ყველა კრიტიკულ ერთეულს, მათ შორის სკოლის წესდებას, შინაგანაწესს, ოქმებსა და მოსწავლეთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზას .
- *პასუხისმგებლობა*: საქმისწარმოების პროცესის მართვასა და ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა პრაქტიკაში იყენებს დადგენილ წესს, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობასა და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ხორციელდება სისტემურად, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას. სკოლა აქტიურად იყენებს სახელმწიფო დონეზე აღიარებულ ელექტრონულ პლატფორმებს როგორც შიდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარების, ისე გარე უწყებებთან კომუნიკაციის მიზნით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი მიმართულებებია:

- *დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა:* სკოლაში შემოსული და გასული ყველა სახის კორესპონდენცია ტარდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში - eflow, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების ოპერატიულ რეგისტრაციასა და მათზე წვდომას უფლებამოსილი პირებისთვის.
- *ელექტრონული სარეგისტრაციო ჟურნალები:* დირექტორის ბრძანებები (მოსწავლეთა მოძრაობის, საკადრო და ზოგადი საკითხების შესახებ) აღირიცხება სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალებში, რაც გამორიცხავს მონაცემთა დაკარგვის რისკს და აადვილებს ძიების პროცესს.
- *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა:* სკოლა მართვის პროცესში იყენებს მოსწავლეთა ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზას (eschool.emis.ge), სადაც ხდება აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და სხვა სტატისტიკური მონაცემების ასახვა.
- *ციფრული კომუნიკაციის არხები:* ოფიციალური მიმოწერისთვის გამოიყენება სკოლის კორპორატიული ელექტრონული ფოსტა (Ivandidi@mes.gov.ge), ხოლო საგაკვეთილო პროცესისა და დისტანციური ჩართულობისთვის -Microsoft Teams-ის პლატფორმა.

- *მატერიალური რესურსების მართვა:* სკოლის მართვაში ჩართულია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ციფრული ინფრასტრუქტურის (24 ლეპტოპი, პროექტორები, პრინტერები) გამართულ მუშაობას ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებითა და სისტემური დემონსტრირებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია (დირექტორი, მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი) სრულყოფილად ფლობს ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სისწრაფეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია, გაკვეთილების ცხრილი, ინფორმაცია მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ. eschool-ის საშუალებით ხდება მოსწავლეთა მობილობა, იცვლება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა საგნების მიხედვით, ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა მჭიდროდ და ეფექტიანად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და ზედმიწევნით იცავს ანგარიშგებისა და კორესპონდენციაზე რეაგირების კანონმდებლობით დადგენილ ვადებს. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესის თანახმად, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხდება მიღების დღესვე eflow-ს სისტემაში, ხოლო მათზე რეაგირება და წერილობითი პასუხის გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ გონივრულ ვადებში (მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ათი დღე).

სკოლა სრულად ასრულებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის ვალდებულებას: ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ამზადებს და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს (საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს) წარუდგენს ანგარიშს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ინფორმაციის თავისუფლება) შესაბამისად, რასაც ასევე აქვეყნებს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საქმისწარმოების წესის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა (EMIS) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში, სკოლა დადგენილ ვადებში (კვარტალურად) უზრუნველყოფს დეკლარაციებისა და საბიუჯეტო ანგარიშგების წარდგენას, რაზეც პასუხისმგებლობა დირექტორთან ერთად ბუღალტერსაც ეკისრება

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- კოლის დირექტორის ბრძანება (MES 8 26 0000009853) — საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- Eschool-ის ბაზა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმირების პროცესი წარიმართება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიისა და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს მშობლებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ საზოგადოების ინფორმირების მექანიზმები მოიცავს: სკოლის დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანებით

(MES 9 26 0000030418) დამტკიცებულია „მშობელთან ურთიერთობის (კომუნიკაციის სტრატეგია) დებულება“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და კომუნიკაციის პრინციპებს; სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს ოფიციალურ ვებგვერდს და კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტას (Ivandidi@mes.gov.ge). ასევე, ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალების სისტემა, რაც მშობლებს აძლევს საშუალებას, მუდმივად მიიღონ ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; კომუნიკაციისთვის აქტიურად გამოიყენება Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმები ონლაინ შეხვედრებისთვის. გარდა ამისა, სოციალურ ქსელში შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება ინფორმაცია საშინაო დავალებებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ; დებულების თანახმად, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში ჩაატაროს შეხვედრები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მშობლის როლი განათლებაში, ბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესი და პერსონალური მონაცემების დაცვა; სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ცხელი ხაზების (112, მანდატურის სამსახური, სახალხო დამცველი) და სხვა უფლებამოსილი უწყებების ფუნქციების შესახებ. ასევე, მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმებისა და პრევენციული ღონისძიებების თაობაზე. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს ყველა ზემოაღნიშნულ არხს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების მაღალ ინფორმირებულობასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

რჩევა: სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისა და ციფრული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სასურველია სკოლამ იზრუნოს ოფიციალური ვებგვერდის პოპულარიზაციაზე მშობლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში დანერგილია ინფორმაციის გავრცელების სანდო მექანიზმი, რაც დასტურდება სკოლის დოკუმენტების შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისთვის მიწოდებული მონაცემები ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურებიდან და განათლების სამინისტროს სსიპ-ებიდან ელექტრონული ფოსტისა თუ eFlow-ს მეშვეობით მიღებულ დოკუმენტაციას. სკოლის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის, მათ შორის დაწესებულების აქტივობების, მიღწევებისა და ჯილდოების უტყუარობა გარანტირებულია დირექციის მიერ სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით. აღნიშნული რესურსები, „მშობელთან ურთიერთობის დებულების“ თანახმად, სრულად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დროულ და ობიექტურ ინფორმირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ასახელებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გასაუბრებისას იკვეთება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება-გადამუშავება-გამოყენების პრაქტიკა. სკოლა ეფექტიანად იყენებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც დასტურდება როგორც „მშობელთან ურთიერთობის დებულებით", ისე პრაქტიკული აქტივობებით. დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს საზოგადოებრივი აზრის კვლევასა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, რისი ნათელი მაგალითია „ციფრული განვითარების გეგმაში" ასახული მოსწავლეთა ტექნიკური აღჭურვილობის კვლევა და მის საფუძველზე დაგეგმილი მხარდაჭერის მექანიზმები. მშობელთა კრებების, ინდივიდუალური შეხვედრებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით მიღებული ინფორმაცია ხდება სასკოლო ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის საფუძველი, მათ შორის საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების დაგეგმვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროექტების ინიცირების კუთხით. ამასთან, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლა ოპერატიულად რეაგირებს შემოსულ განცხადებებსა და წინადადებებზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების ადეკვატურ ასახვას სკოლის მართვის პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge , რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე და ემთხვევა სკოლის სწავლების განხორციელების ენას (სახელმწიფო ენა-ქართული ენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ოფიციალური ვებგვერდის (skolebi.emis.ge პლატფორმაზე) შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის აუცილებელი ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ვებგვერდის სტრუქტურა და შინაარსი ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვებგვერდზე წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

-ზოგადი და საკონტაქტო ინფორმაცია: მითითებულია სკოლის სრული დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი (ხონი, სოფელი ივანდიდი), ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა.

-სტრატეგიული დოკუმენტები: განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც განსაზღვრავს დაწესებულების საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

-პროგრამები და ჩარიცხვა: ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელწოდებებისა და მათზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ.

-სასწავლო პროცესი: მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის არსებული რესურსების თაობაზე.

-ორგანიზაციული სტრუქტურა: წარმოდგენილია სკოლის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები.

-ანგარიშგება და გეგმები: ვებგვერდზე იძებნება ინფორმაცია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების (ჯერ არაფერია ატვირთული რადგან სტრატეგიულისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცებიდან შესრულების მონიტორინგის დრო არ გასულა, თუმცა ვებგვერდზე აქვთ ფანჯარა გამოყოფილი) , ასევე ფინანსური მდგრადობის შესახებ (ბიუჯეტი/ანგარიში);

-გასაჩივრების მექანიზმები: მითითებულია ინფორმაცია ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების წესისა და ვადების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა პერიოდულად ანახლებს ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისათვის სანდო მონაცემების მიწოდებას. თუმცა, ვიზიტისას დაფიქსირებული მიგნება (მშობელთა მხრიდან ვებგვერდის დაბალი მოხმარება) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლამ უნდა გააძლიეროს მუშაობა ამ რესურსის პოპულარიზაციის კუთხით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება MES 9 26 0000030418 (16/01/2026);
- სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდის ბმული (skolebi.emis.ge);
- საქმისწარმოების წესი (დანართი #1);
- ციფრული განვითარების გეგმა (2025–2026);

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფილია სტაბილური ფინანსური სახსრებით. შემოსავლების ნაწილში სკოლის ძირითად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სამინისტროდან მიღებული ვაუჩერული და დამატებითი დაფინანსება. ხარჯვით ნაწილში დეტალურად არის გაწერილი შრომის ანაზღაურების ფონდი, რითაც სრულად არის უზრუნველყოფილი სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული 36 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურება.

ამასთან, სკოლის 1-წლიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც სასწავლო და ორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსების გრაფაში ინტეგრირებულია „ფინანსური რესურსი“. დამატებით, სკოლას დროულად აქვს შემუშავებული და დამტკიცებული 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება წინასწარ, ფინანსურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მატერიალური თუ ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

დოკუმენტური შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს ფინანსური მართვის, დაგეგმვისა და განკარგვის ფორმალიზებული და გამართული სისტემა. ორგანიზაციულ-სტრუქტურულ დონეზე, სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბუღალტრის პოზიცია, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი დაწესებულების ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაზე. ფინანსების ეკონომიურად და მიზნობრივად განკარგვის მიზნით, სკოლაში დანერგილია კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები: დირექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის N2-69 ბრძანებით, შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევის განხორციელებაზე გამოყოფილია წინასწარ უფლებამოსილი პირი - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სკოლის ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას. გარდა ამისა, ფინანსური დაგეგმვისა და განკარგვის გამჭვირვალობას ადასტურებს დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის N2-38 ბრძანება, რომლითაც მტკიცდება მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა და შესყიდვების კოორდინატორს ევალება მისი სავალდებულო რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (ePLAN). ეს ყოველივე ერთობლიობაში ადასტურებს, რომ ფინანსური რესურსების მართვა სკოლაში ხორციელდება გამჭვირვალედ, შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებითა და კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 61 - 2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი;
- დანართი 36 - სკოლის 1-წლიანი განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (2025-2026);
- ბრძანება №2-38 (19.11.2025) ;
- ბრძანება №2-69 (20.11.2024) ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხორციელდება კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტირების უზრუნველყოფა. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურით და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე, თანაბრად. დაცულია მოსწავლეთა უფლებები. ამის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მზაობა ნებისმიერ სიტუაციაში რეაგირებაზე. მრჩეველთა და სამეურვეო საბჭოები აქტიურად ფუნქციონირებენ და აკონტროლებენ შინაგანაწესის დაცულობას. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, აქვთ რემედიაციული სწავლების გამოცდილება, რომელიც როგორც გასაუბრების დროს გამოირკვა ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის პარალელურად. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ ინიციატივების წამოყენება და შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მათი ინიციატივა მხარდაჭერილია. სკოლას შემუშავებული აქვს ადაპტაციის, გასაჩივრების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღაირების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა და განათლების უფლების რეალიზაცია. **რჩევა: სასურველია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სარემედიაციო მომსახურეობის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სწავლების სამივე საფეხურს**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ, დამრიგებლების მეშვეობით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებებს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს; კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა სამუშაო კვირის ბოლო დღეს შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს და მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე დეტალური ინფორმაცია. სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის პორტალზე. სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის წესი. სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე აცნობს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს. მოსწავლეთა უფლებებისა და რეგულაციებისა ამსახველი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სკოლის შენობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. ზემოაღნიშნული დასტურდება მშობელთა და მოსწავლეებთან ინტერვიუების დროსაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია

სასკოლო სახელმძღვანელოებით. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღებას. **რჩევა: სასურველია, ხელშეკრულებებში აღწერილი იყოს, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- გასაჩივრების წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საინფორმაციო დაფა;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- **დანართი 41,** მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- **დანართი 65,** სკოლის შინაგანაწესი
- **დანართი 66,** გასაჩივრების პროცედურები -ბრძანება
- **დანართი 67,** სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სტატუსის მართვის მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ეროვნულ სასწავლო გეგმას. პოცესები მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით და უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს ყველასთვის.

სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხორციელდება დადგენილ ვადებში. მშობლებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციისა და შიდა რეგულაციების შესახებ.

მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები რეგულირდება შინაგანაწესით. სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი წესი.

კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას, სოციალური ქსელის მეშვეობით და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებ.

სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს და იცავს 4.1.2.1 ინდიკატორში მოცემულ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მოსწავლეთა პირად საქმეებში შეტანილია შესაბამისი ინფორმაცია. განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხით'' გათვალისწინებული დოკუმენტაცია; მობილობის პროცესი განხორციელებულია შესაბამისი წესით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ

გამოცემული შესაბამისი ბრძანებები. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. განცხადებები იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქის გვერდზე. დაწესებულებაში მიმდინარეობს მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობა. წარმოდგენილია შემეცნებითი და სახალისო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები; სასკოლო გარემო გაფორმებულია საგაკვეთილო და საკლუბო მუშაობის დროს შექმნილი საინფორმაციო პლაკატებით, პოსტერებით, სამხატვრო ნამუშევრებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის კლასების დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- ადგილზე დათვალიერება;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- **დანართი 68,** ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადმოსვლა)
- **დანართი 69,** ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადასვლა)
- **დანართი 70,** ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევა
- **დანართი 71,** ბრძანება მოსწავლის I კლასში ჩარიცხვა
- **დანართი 72,** ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს ახლად მოსული მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი არსებულ სასწავლო გარემოსთან, სკოლას აქვს გაწერილი ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. სკოლის ყველა კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, ამატებს მათ დახურულ ჯგუფებში. აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, სკოლასა და მშობელს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ისინი ეცნობიან სკოლის ისტორიას, თითოეული კაბინეტის განლაგებას და საერთო სარგებლობის სივრცეებით გამოყენების წესებს. სკოლას მჭიდრო კონტაქტი აქვს ახლო მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებთან. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად სტუმრობენ ბაღებს და დამამთავრებელი კლასის აღსაზრდელებს აცნობენ სხვადასხვა ლიტერატურას. მოჰყავთ ბავშვები სასკოლო სივრცეში, აჩვენებენ სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების მიერ შექმნილ წარმოდგენებს. სკოლას აქვს განსაკუთრებული ტრადიცია, რომელიც გულისხმობს თითოეული პირველკლასელის მიერ, მის სახელზე 1 ხის დარგვას სკოლის ეზოში. **რჩევა: სასურველია სკოლამ მოსწავლეთა ადაპტაციის დოკუმენტში ასახოს ის გამორჩეული და ორიგინალური წესები, რაც ტრადიციად აქცია.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელებს ხვდებიან საზეიმო ვითარებაში. დამრიგებლები აცნობენ მათ სკოლის შენობას, საერთო სივრცეებით სარგებლობის წესებს. კლასის საათის/საგაკვეთილო თემატიკის შესაბამისად მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა უკეთ გაცნობასა და დამეგობრებას. ვიზიტის დროს, გასაუბრებისას, ყველა მოსწავლე ერთხმად აღნიშნავდა რომ სკოლაში ძალიან მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემოა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და რეგულარულად, კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა მიერ, წლის განმავლობაში, საგნისთვის დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მოსწავლეს მასწავლებლები უწევდნენ შესაბამის

კონსულტირებას. საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროსაც ნათლად ჩანდა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ რემედიაციულ სწავლებას მიღწეული შედეგების შეფასების შემდეგ. კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა ამარტივებს მსგავსი მუშაობის შესაძლებლობას. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. მშობლები გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ დამრიგებელს, საგნის მასწავლებელს აქტიური კომუნიკაცია აქვთ მათთან და ინდივიდუალური კონსულტირების, ერთად დაგეგმილი ინტერვენციების პირობებში აღწევენ აკადემური ხარისხის გაუმჯობესებას. ვიზიტის პროცესში 3 მოსწავლე, ჯამრთელობის პრობლემების გამო, გადაყვანილი იყო შინ სწავლებაზე. სკოლა დადგენილი წესის შესამაბისად ახორციელებდა აღნისნულ მომსახურებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი. ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, კლუბების, წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება, გასვლითი გაკვეთილების და მიზნობრივი ექსკურსიების დაგეგმვა. აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არიან დირექტორი, მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო და ეკო კლუბები, ასევე სპორტული წრეები. თითოეულის შექმნის ინიციატორები იყვნენ მოსწავლეები. ზემოაღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრებით. ასევე თვითმმართველობის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. ამ მიზნით სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით. სხვადასხვა საგანში დიაგნოსტიკური წერების ჩატარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დანართი 73,** ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.
- **დანართი 74,** კლუბის დებულება.

- **დანართი 13,** 1 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.
- კლუბის დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი
- სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ესგ-ს და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება არჩევითი საგნების შერჩევა და დამტკიცება. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლა წლებია თანამშრომლობს ქუთაისის კოლეჯ ,,იბერიასთან'', თანამშრომლობა გულისხმობს მოსწავლეთა პროფესიულ დაინტერესებას. ამ მხრივ სკოლაში მიმდინარეობდა სამკერვალო სწავლებისა და მედურგლეობის პროფესიების გაცნობა. მედურგლეობის პროფესიის გაცნობა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის, რადგან რაიონში ბევრი ავეჯის ქარხანაა და სკოლაში მიღებული გამოცდილება ეხმარებოდა სკოლადამთავრებულებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებაში. ასევე პროფესიული ორიენტაციის მხრივ შეხვედრები ხდება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებსა და კლასის საათის ფორმატში. გასაუბრებისას უფროსკლასელი მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესების შესაბამისად, სკოლამ ითანამშრომლა ადგილობრივ ორგანიზაციასთან, რომლიდანაც მოდიოდნენ სპეციალისტები და ბავშვებს ესაუბრებოდნენ სხვადასხვა პროფესიების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე: ღია კარის დღე, საგამოცდო ფორმატში ცვლილებები, ახალი პროგრამები, პროფესიულ

სასწავლებლები. მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავდნე რომ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ პროფესიებთან დაკავშირებულ შეხვედრებს თავადაც ესწრებოდნენ და ეს მათთვისაც ძალიან კარგი გამოცდილება იყო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას ან ,,კლასის საათის" ფორმატში. მომსახურების შეფასებისთვის გამოიყენება მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირები, რომელიც ვიზიტის დროს გასაუბრების ფარგლებშიც მრავლად იყო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები
- მემორანდუმი იბერია
- მემორანდუმი ათინათი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
- ვიზიტის ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს სსსმ. მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის ძირითადი დებულებები. ასევე შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში ირიცხება 6 სსსმ. მოსწავლე რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავთ ასისტენტები და იღებენ სპეც მასწავლებლის მომსახურებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სპეც მასწავლებლის ანგარიში, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში რის საფუცველზეც დასტურდება თვითშეფასებაში გაწერილი მექანიზმის რეალურობა. **რჩევა: სასურველია, სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით შექმნას სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის დოკუმენტი.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. ამას ადასტურებს მოსწავლეთა ნამუშევრები, მშობელთა გამოკითხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დანართი 75,** ბრძანება სამოქმედო გეგმა
- **დანართი 76,** ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნა
- **დანართი 77,** ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N1
- **დანართი 78,** ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N2
- **დანართი 79,** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- **დანართი 80,** გაკვეთილზე შესვლისთვისა და რესურსოთახში მუშაობისთვის გაწერილი განრიგი

- **დანართი 81,** მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- **დანართი 82,** სსსმ მოსწავლეებისთვის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ივანდიდის საჯარო სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ივანდიდის საჯარო სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გვერდზე დადებული გზამკვლევებით, 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელდა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება, სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც გაერთიანებული იყო ყველა კათედრისა და საფეხურის მასწავლებლები და სპეც. მასწავლებელი. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმი შედგენილია იმგვარად რომ მასში მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერესების გამორკვევას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებების, კლასის საათების თუ ინდივიდუალური შეხვედრების დროს. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა შედეგებს, აკეთებენ ურთიერთშეფასებებს და გამოვლენილ საჭიროებებს ითვალისწინებენ შემდგომი პროცესების ხარისხიანად დაგეგმვისათვის. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ სკოლა ღიაა ნებისმიერი სახის ინტერესისა თუ ინიციატივის მხარდასაჭერად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმები სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდა საგნობრივი კათედრების მუშაობითა და ჩართულობით. კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებული იყო წინა წლის გამოცდილება, მიღწეული შედეგები, სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმში ასახულია: რომელ თემებს ასწავლიან, რა საკითხებს განიხილავენ, რა კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესში; რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი დაგანმავითარებელი შეფასებისთვის;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში ყველა მასწავლებელი იზიარებს კურიკულუმის შექმნის ზოგად ჩარჩოს, სკოლა შეთანხმებულია შეფასების მოდელთან დაკავშირებით და არჩეული აქვს პირველი მოდელი, რაც განმსაზღვრელი შეფასების დაწერას ითვალისწინებს საკლასო საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში. დამრიგებლები, მშობელთა კრებებზე, დახურულ ჯგუფებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე აცნობენ მშობლებს კურიკულუმით დაგეგმილ თემებს. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ შემოქმედებითი დავალების ბარათებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- **დანართი 2.1.** პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმების შემუშავებაზე
- დამრიგებლის დებულება
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა,ქიმია) და მისი შემადგენელი ნაწილები სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) დაიგეგმა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები, შესაძლებლობები. იკვეთება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები. კურიკულუმები დაიგეგმა კათედრაზე, რასაც მოწმობს კათედრის ოქმები და დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული აუცილებელი თემები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხო ენის კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები , კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმში ინტეგრირებულია

	სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის** კულუმის ჩარჩო ფორმა განსხვავებულია. ასევე **დაწყებით** საფეხურის რესურსების გრაფა არ არის შევსებული სრულად, ელექტრონული რესურსების და გრიფირებული სახელმძრვანელოს გვერდების მითითებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თემატურ ბლოკის ფორმულირება არასწორია, უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტით განსაზღვრულ თემატური ბლოკის ფორმულირებას (მაგ: "ხელოვნება ჩვენს გარშემო" ნაცვლად უნდა იყოს "ხელოვნება ჩვენ გარშემო".) ასევე მე-3-ე და მე-5-ე კლასის ხელოვნების კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და** განსაზღვრული სამიზნე ცნებების **ქვეცნებები არ შეესაბამება დავალების პირობის შინაარსს.** **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორს. **რჩევა:** სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებითი საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული ელექტრონული რესურსების და გვერდების მითითებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში ჩასწორდეს თემატური ბლოკის სახელწოდება. ასევე თემა, ცნება/ქვეცნებები და დავალების პირობა უფრო დეტალურად დაკონკრეტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში. შეირჩეს სამიზნე ცნებების-ქვეცნებები რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო მიზნებთან და დავალების შინაარსთან. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები სრულად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შეესაბამება მისი მოთხოვნებით განსაზღვრულ შედეგებსა და შინაარსს. კურიკულუმების ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმები გაიმართოს ვიზუალურად, კათედრაზე ერთნაირი კურიკულუმის ჩარჩო იყოს შემუშავებული. 1-ელი კლასი: აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; გამოიკვეთოს დავალების იდეა(სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ. მე-2 კლასი: საათების მითითება არ არის საჭირო; საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე. მე-3 - მე-4 კლასები: სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე. მე-5 კლასი: შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. მე-7 კლასი: საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; სასურველია, დავალების იდეაში ჩაიწეროს პირობა კრიტერიუმებამდე; რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ. მე-8 კლასი: აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; გამოიკვეთოს დავალების იდეა(სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ ბმულს

	ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ; კურიკულუმში აისახოს ყველა შემოქმედებითი დავალება, რომლებზეც მუშაობენ. მე-9 კლასი: გამოიკვეთოს დავალების იდეა(სასურველია, პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ; საკითხში საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო. მე-10 კლასი: რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული; სასურველია, დამატებითი რესურსების გამოყენება. მე-11 კლასი: სასურველია, დაკონკრეტდეს დავალების იდეა(პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე); რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ; მე-12 კლასი: შეივსოს საკითხის გრაფა - ჩაიწეროს ის საკითხი, რომელიც მუშავდება დავალებაში, საკითხთა კლასტერი არ არის საჭირო; აისახოს ყველა ცნება, რომლებიც მუშავდება; სასურველია, დაკონკრეტდეს დავალების იდეა(პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე). კათედრის წარმომადგენლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ აღნიშნულ რჩევებს სამომავლოდ კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინებენ. დამატებით გამოგზავნილ ნიმუშებში კი მეტ-ნაკლებად ასახულია. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	ყველა კლასის წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-

	კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს და ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული ორგანიზებისთვის. კურიკულუმებში სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი სასწავლო თემები, სასწავლო მიზნები, აქტივობების დაგეგმვის პრინციპები და მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრაზე, ოთხივე საგნის(მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა დ ბუნებისმეტყველება),შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლები გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რა საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებებ და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარ ხოლო გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის გააქტიურება განაპირობებს. (**ინდიკატორი შესაბამისობაშია**)

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების დაწყებითი I-VIკლასების საფეხურზე, ასევე საბაზო (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) და საშუალო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საფეხურებზე კურიკულუმები დაგეგმილია ე.ს.გ.ის სტანდარტის გათვალისწინებით, თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ. მხოლოდ საბაზო საფეხურზე, ფიზიკის მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმი საჭიროებს თემების ჩასწორებას, რასაც რჩევაში გავწერ. ხოლო შუალედური მიზნები, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელიც გაწერილია ყველა საგნის, კურიკულუმში და ასევე დადასტურდა ინტერვიუს დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას. (**ინდიკატორი შესაბამისობაშია**)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში

	წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. სკოლაში ხორციელდება პროექტები და პრეზენტაციები,რომელთა წარდგენა ხდება საზოგადოების წინაშე, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის, განსხვავებული აზრის მოსმენის, შემოქმედებითობის, თვითშეფასების, თავდაჯერებულობი სუნარი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრას აქვს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება, გათავისებული აქვთ, შუალედური მიზნები განსაზღვრონ ამ დავალებებზე დაფუძნებით. გრძელვადიანი მიზნებს ემსახურება ცნება/ქვეცნებათა მუდმივი დამუშავება საკითხების კომპლექსური დავალებებით შესწავლით და პროდუქტის წარმოდგენით, რაც მოსწავლეებს განუვითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ესთეტიკურ საგნებში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ემპათიის უნარს, ემოციურ ინტელექტს, მისცემს მათ იმპროვიზაციის

	შესაძლებლობას, განუვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას და მოამზადებს ცხოვრებისათვის.**(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შემოქმედებითი დავალებები შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ცოდნის ტრანსფერი და მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამიზნე ცნებებს: მათემატიკურ მოდელს, კანონზომიერებას და ლოგიკას. თითოეული სამიზნე ცნება ჩაშლილია ქვეცნებებად, თუმცა ქვეცნებებს მოცემულ თემასთან მიმართებით აკლია მკაფიოობა. **რჩევა:** სასურველია, სწავლების შედეგების უკეთ მიღწევისთვის, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ქვეცნებები, რომელთა დამუშავებასაც პედაგოგი გეგმავს მოცემულ თემასთან მიმართებით.**(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. აღნიშნული სამიზნე ცნებები წარმოადგენს საგნის სწავლების მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საფუძველს და მათი დამუშავება უზრუნველყოფს იმ გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ბოლოს. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს უწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული I–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ოთხივე საგნის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის.შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ

	გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ შემოქმედებითი დავალებების როლი -ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლელის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები გაწერილია კურიკულუმებში, თუმცა სასურველია ბიოლოგიის საგნის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში უფრო მეტი ელექტრონული რესურსი იყოს დაგეგმილი, რაც უკეთესად უზრუნველყოფს მოსწავლის კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული

	თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. (**ინდიკატორი შესაბამისობაშია**)
უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, და აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა: მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, შეუსაბამოა სასწავლო მასალის სრულფასოვნად ასათვისებლად კონკრეტულ ვადაში. მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში არ იძებნება სვეტი „მაგალითები შედარებისთვის“, ასევე ზოგიერთ კურიკულუმში არ არის რესურსებში მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოდან. **რჩევა:** სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი

	და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.**(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - დამატებითი ტექსტები, ილუსტრაციები, სქემები, პლაკატები, ელექტრონული რესურსები და აუდიო-ვიზუალური მასალები. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში-„მე მიყვარს მათემატიკა“, მესამე-მეოთხე კლასებში - ინტელექტის გამომცემლობა, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, მე-5 - მე-6 კლასებში ირინა რუხაძის ატორობით, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე გამომცემლობა „ინტელექტი“, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფხბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

	სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: • ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; • კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, Microsoft Office 365 (OneDrive), scratch.mit.edu. • ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაგეგმილი კურიკულუმების და მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მოსწავლეს აქვს მოქნილი სასწავლო გარემო. დაგეგმილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩავთვალოთ,რომ დავალებების კომპლექსური ბუნება და შესაქმნელი პროდუქტის მრავალფეროვნება, აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. (მაგ, პრეზენტაცია, მოდელი, პოსტერი და სხვა). სსსმ მოსწავლის შემთხვევაში გაწერილი გეგმის ფარგლებში არსებული რესურსები სწორადაა დაგეგმილი და ეხმარება მოსწავლეს საგნობრივი სტანდარტის შწდეგებზე გასვლაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული მიდგომების მაგალითებზეც. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას სამივე საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია:

	სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; დავალების ადაპტირებას სსსმ მოსწავლისათვის; ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. დანართის სახით წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით, ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რაც მოიაზრებს იმას, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა რნიშნეს,რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მიეცათ რჩევა, რომ ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ და

	ეს კრიტერიუმიც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლების დაგეგმვისას მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გამოიხატება დავალებების, აქტივობებისა და რესურსების მრავალფეროვნებაში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები. მათთვის, საჭიროების შესაბამისად, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტებს, წარმოდგენილია დიაგნოსტიკური შეფასების N1 ინსტრუმენტი, ნიმუშების სახით, რაც დასკვნების გაკეთების და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის საშუალებას იძლევა. ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. სკოლა აქვს წარმოდგენილი ინდ გეგმა რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს მუშაობა სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებული და მორგებულია მოსწავლეების საჭიროებისადმი, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან

	გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები, როგორიცაა წინასწარ მომზადებული მასალები, შაბლონები, ტექსტის რედაქტირებაში დახმარება, დავალების შესასრულებლად დამატებითი დროის მიცემა და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეასრულონ უფრო კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც გულისხმობს დამატებითი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას, არგუმენტირებული მოსაზრებებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას, ასევე საკუთარი ნამუშევრების საჯარო წარდგენას სკოლის საზოგადოებისთვის. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებს დავალების შესრულების დროს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეარჩიონ პერსონაჟები (სპრაიტები), დაამატონ დამატებითი ელემენტები ან გააფორმონ ნამუშევარი ხმოვანი ეფექტებით, მუსიკითა და ანიმაციით. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების ორივე ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი, მოწოდებულია სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუბრიკები ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს. დიაგნოსტიკური შეფასება მიმართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, დასასრულს და ასახულია დიაგნოსტიკური ტესტის ანალიზში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ასახულია სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში, კერძოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში და ამის შესახებ ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუშიც. **(ინდიკატორი შესაბამისაობაშია)**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; ასევე კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას, სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრამ მტკიცებულებად წარმოადგინა დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიეცათ რჩევები და კათედრა შეძლებს მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემასთან მიმართებით რაც შეესაბამება ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებსაც იყენებენ. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში მეტ-ნაკლებადაა ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით. **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტწილად გათვალისწინებულია. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით და გათვალისწინებულია დავალების კონტექსტი. წარმოდგენილია დიაგნოსტირების N1 ინსტრუმენტი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,

	რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირება) უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების

	მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. **რჩევა**: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმი;
- შემოქმედებითი დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;მოსწავლეთა ნამუშევრები.
- საგნობრივი სადიაგნოსტიკო ტესტები
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

◦ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზესასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, კერძოდ: დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (

	სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმი, ჩატარებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები. ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებითაც. შეკითხვები გაჩნდა ფიზიკის საბაზო საფეხურის მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმთან დაკავშირებით. დაგეგმილ კურიკულუმში სავალდებულო თემების ჩამონათვალში იყო წიგნის თემები და შესაბამისი საგნის მასწავლებელს ინტერვიუს დროს მიეცა რჩევა. **რჩევა:** ფიზიკის საბაზო საფეხურის მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმში პედაგოგმა სასუეველია გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს, რაც ხელს შეუწყობს ესგ -ის სტანდართით დაგეგმილი სასწავლო მიზნების შესრულებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას, საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, (პრეზენტაციები, წერილი მეგობარს) თემატური მატრიცები როგორც ინგლისურ ასევე რუსულ ენაში. ინტერვიუზე მასწავლებელებმა დეტალურად ისაუბრეს

	სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრაზე და შეიმუშავებენ, ცვლიან, აახლებენ სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავენ სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მის ადაპტირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითაა დაგეგმილი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების

	განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ,

	V კლასში დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება არის კომპლექსური ტიპის, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და განმავითარებელ შეფასებას, რაც შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. ასევე წარმოდგენილია VI კლასისთვის დაგეგმილი შუალედური მიზნის მისაღწევი დავალება, რომელიც არის კომპლექსური ტიპის, ითვალისწინებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და მოიცავს განმსაზღვრელ შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ჩართული იყო ჯიპრაიდის და ახალი სკოლის მოდელში და აქვთ გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებმა ოთხივე საგანში მკაფიოდ და ნათლად ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე.

	რჩევა: სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. ადგილზე ვიზიტისას სკოლა ახორციელებდა 3 მოსწავლის შინ სწავლებას, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდნენ და ვერ ახერხებდნენ სკოლაში სიარულს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) უზრუნველყოფს გამჭვირვალეობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს,რაც ასახულია სამივე საფეხურზე გადმოგზავნილ და შემდგომში მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტაციაში. იყო ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკაც და ინტერვიუს დროს მოხდა დაკონკრეტება, ამ რუბრიკის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები მოსწავლეებისთვის ცნობილია და შესაბამისად ხდება მათი გამოყენება. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ

	შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და ვერიფიკაციის დოკუმენტში აღწერილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას , შეფასების რუბრიკები ცნობილიამოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს პროცესიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებეზე ორიენტირებით მრავალფეროვანი თემის საკითხის ფარგლებში. კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამივე საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას. **((ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. ასევე იყენებენ თვითშეფასებისა და

	ურთიერშეფასების ფორმებს. შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მოსწავლეები იცნობენ. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	მათემატიკის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასებები აკმაყოფილებს შეფასების ხუთივე პრინციპს, სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები და შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. გასაუბრების დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ეცნობიან მოსწავლეები, შემაჯამებელ დავალებებში თითოეულ დავალებას(საკითხს) უწერია მაქსიმალური ქულა და სხვა. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	მასწავლებლები გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას-სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებელთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის **გამჭვირვალობას.** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და

	მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის **ვალიდურობას,** რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება) ხელს უწყობს შეფასების პროცესის **სანდოობასა** და **ობიექტურობას,** რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების **ვერიფიკაციის მექანიზმი**, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში.

	მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება . **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების ძირითადი პრინციპებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობას, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემესტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტირება და დიაგნოსტირების საფუძველზე ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი ან შემოქმედებით-შემეცნებითი დავალებების დიაგნოსტირების დროს). შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებენ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილი კომისია);

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა ნამდვილად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. საგნის მასწავლებლები აღრიცხავენ და ახარისხებენ მოსწავლეთა შეფასებებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. აწარმოებენ ელ.ჟურნალს. საქმისმწარმოებელი სკოლის შენობაში არსებულ არქივში განათავსებს მოსწავლეთა პირად საქმეებს და შესაბამის დოკუმენტაციას მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით. არქივში მოიპოვება 3 და მეტი წლით შენახული დოკუმენტაციები, რომელზეც ხელი მიუწვდება მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სამიზნე ცნებებზე მიმართული შეფასებები
- სასწავლო რესურსის ვალიდაციის დოკუმენტი
- დიაგნოსტირების ანგარიშის ფორმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- **დანართი 2.2.1** მშობელთა შეხვედრების ოქმები მე-4 კლასი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დროს გამოიყენება სხვადასხვა რესურსები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული. ძირითადად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი სასწავლო მატერიალური რესურსი. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სალასო ოთახებთან არსებული ცალკე გამოყოფილი ოთახები, რომელშიც განთავსებულია სასწავლო რესურსები, რომელიც ასახულია საგნის კურიკულუმებში. ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები მუშა მდგომარეობაშია, თუმცა ძალიან მარტივი ცდების ჩასატარებლად შეიძლება გამოიყენებოდეს. ლაბორატორიის დისტანციური დათვალიერების დროს ჩანდა, მოსწავლეთა ხელით შექმნილი სასწავლი რესურსები, შემოქმედებითი დავალების

	პროდუქტები, ბანერები. ბიოლოგიის რესურსები შედარებით მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც მოსწავლისთვის თემის შესწავლისას შედეგზე ორიენტირებაზეა გათვლილი. სასურველია სკოლაში იყოს უფრო გაახლებული ფიზიკის ლაბორატორია, რომელიც აუცილებელია თემების შესასწავლად და საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვას შეუწყობდა ხელს. ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესები გამოკრულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილზე, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. **რჩევა:** სასურველია მასწავლებელმა ბიოლოგიის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწეროს ელექტრონული რესურსებიც. რესურსების მრავალფეროვნება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და ესგ -ის სტანდარტის შედეგებზე გასვლას შეუწყობს ხელს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს,

	რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა) **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსებით, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნებს. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ტექსტები, ვიზუალური და ელექტრონული რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. მოსწავლეები მონაწილეობენ რესურსების შექმნაში. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)** **რჩევა 1:** სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას. **რჩევა 2**: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის დამხმარე რესურსებში მითითებული იყოს შესაბამისი გვერდები, რაც გაამარტივებს შესაბამისი რესურსის გამოყენების რელევანტურობის აღქმას და მის ვერიფიკაციას.
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და

	უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: **Microsoft Office** პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint), **Paint / Paint 3D**, **WordPad**, ასევე **Microsoft Office 365** გარემოში (OneDrive). პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმა, როგორიცაა **Scratch** (scratch.mit.edu).

	აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაში ჩანს, მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი, რაზეც ისაუბრეს პედაგოგებმა ინტერვიუს დროს. მობილიზებიული აქვთ მცირე მატერიალური რესურსის სახით, (მაგალითად: ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბოტრატორიის ოთახებში განთავსებული რესურსები, ბანერები, მოსწავლეთა ნაშრომები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, რომლებსაც მოსწავლეები წარადგენენ პედაგოგებთან, ხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკით. არსებული რესურსები თავმოყრილია სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ოთახებში, რაც ჩანდა დათვალიერების დროს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლისა და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ესთეტიკური საგნის სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითად რესურსად სახელმძღვანელოები დამხმარე სასწავლო რესურსად კი სამინისტროს მიერ გაზიარებული რესურსებია მითითებული. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კათედრის წევრების ურთიერთშეთანხმებით ხდება რესურსების შერჩევა, რომლის ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია, თუმცა ზოგიერთ საკითხზე მითითებულია ბევრი ბმული, ყველა მათგანის გამოყენება კი შეუძლებელი იქნება. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში მონიშნოთ საკითხების შესაბამისი ის რესურსი, რომელიც გამოიყენეთ მოცემული საკითხის დამუშავებისას ან რომელთა გამოყენებასაც გეგმავთ.
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი. კერძოდ; school.emis.ge. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული ძირითადი რესურსი არის ვალიდური (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება დამხმარე სასწავლო რესურსებს, სკოლის მიერ განსაზღვრულია მისი ვალიდაციის კრიტერიუმები, კერძოდ : სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ხოლო მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების შექმნის შემთხვევაში სკოლა თითოეულ მასწავლებელმა ავალდებულებს გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები:

	• განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას; • დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის; • რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმები და შეუძლია უზრუნველყოს ამ რესურსების ვალიდაცია. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის პროცესში (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების) გაკვეთილებზე სკოლაში არსებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლებისთვის სამივე საფეხურზე, რაც გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დათვალიერების, ასევე მასწავლებლებთან ინტერიუს დროსაც. დათვალიერების დროს გამოჩნდა, რომ ლაბორატორიით სარგებლობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებბის კათედრაზე შემავალ საგნებს შეუძლიათ შეუფერხებლად, რადგან თითოეული საგნის

	შესასწავლად არსებული რესურსები ცალ-ცალკე განლაგებულია კაბინეტების მიხედვით და აადვილებს ცხრილის დაგეგმვას. თუმცა სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახში არ არის ხელსაბანი და ცეხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, გამწოვი კარადა საჭიროებს გამართვას; აღჭურვილობა გასაახლებელია. რაც სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესრულების ვალდებულების ვადა განსაზღვრული აქვს 17.12.2026 მდე. ამიტომ სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია: სკოლამ საშუალო და საბაზო საფეხურებისთვის უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახში ხელსაბანის და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის, გამწოვი კარადის მონტაჟი, აღჭურვილობის განახლება არაუგვიანეს 2026 წლის 17 დეკემბრისა.** **(ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტდანდარტის მოთხოვნებს)**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია. ასევე, წარმოდგენილია მოსწავლეების შექმნილი რესურსები, მაკეტები, პოსტერები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა, რაც სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
სპორტი	სკოლაში არსებული ინვენტარი და დამხმარე მასალები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შესასწავლი თემების სრულ განხორციელებას, შეესაბამება სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. სკოლას გააჩნია დახურული დარბაზი და კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თემების შესწავლა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯიტ

	აღჭურვილი კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა გამოიყენება პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. **(ინდიკატორი შესაბამისობაშია)**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში დასაქმებული 24 მასწავლებლიდან არის 4 წამყვანი და 20 უფროსი მასწავლებელი. სკოლაში არის 1 სპეც. მასწავლებელი და სსსმ. მოსწავლეების ასისტენტები. ადგილზე ვიზიტისას, პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. სკოლაში მომუშავე ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი განათლება იმ საგნის/საგნების სწავლებისა, რომლებსაც ასწავლის. დასაქმებულებს ჩაბარებული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისი გამოცდები და მოპოვებული აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი eschool-ის ბაზა. მასწავლებელთა რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ ყველა საგნობრივი ჯგუფი სრულად დაიფაროს. სკოლის კადრები, გარადა მათი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დათვირთული არ არის სხვა საგნობრივი ჯგუფების საათებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები შეფასების რუბრიკებით.
- კლუბების დებულებები, სამოქმედო გეგმები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები, შეფასების რუბრიკებით და მოსწავლეთა ნაშრომის პრეზენტაციები;
- მოსწავლეთა დიაგნოსტირება
- ისგ- გეგმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- საკოლო სასწავლო გეგმა
- პედ. საბჭოს ოქმები
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში სასწავლო პროცესის პარალელურად, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც ეფუძნება კურიკულუმით დადგენილ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭირვალობასა და ვალიდურობას. შეფასების ფორმები შერჩეულია დავალებების შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში გამოყენებული ინსრტუმენტები (ტესტირება, პრეზენტაცია, შემოქმედებითი დავალებები, რეფერატები) პირდაპირ კავშირშია იმ შედეგებთან რომელთა მიღწევასაც ითვალისწინებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზის შედეგად შექმნილია 1 წლიანი სამოქმედო გეგმა. მასში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრულია ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო

გეგმა და კურიკულუმები ერგება სკოლის არსებულ რეალობას. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის გაზიარებული რუბრიკები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლებლები და ადმინისტრაცია ერთობლივად განიხილავენ საგაკვეთილო პროცესის დინამიკას. აქცენტი კეთდება იმაზე თუ რა რესურსი ან მეთოდოლოგიური დახმარება ესაჭიროება პედაგოგს თავისი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. მონიტორინგის და შეფასების საშუალებით წარმოჩინდება თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება. სკოლა, მასწავლებლები ცდილობენ ინერვენცია იყოს დროული და შედეგიანი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- 1 წლიანი სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- შეფასების რუბრიკები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით კეთდება. სკოლის მოსწავლეები, სკოლის მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, სკოლის პერსონალი, თემის წარმომადგენლები, სკოლის დოკუმენტაცია, ვიზუალური მასალა, გარემოზე დაკვირვება. სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთა შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. თვითმმართველობის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეთა თვალით დანახული საჭიროებები და შესაძლებლობები. თემის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში ვიზიტისას მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას პირველი რასაც ყველა ერთხმად აღნიშნავდა იყო სკოლაში არსებული გარემო. მათი თქმით გარემო არის მეგობრული, ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო. ერთ-ერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ ბავშვი საბავშვო ბაღში ქალაქში დაყავდა, თუმცა, სწორედ სკოლაში არსებული გარემოს გამო, გადაწყვიტა მისი შვილის სწავლა-აღზრდის საქმე ივანდიდის საჯარო სკოლისთვის მიენდო. სკოლაში მრავლად აქვთ მსგავსი დადებითი გამოხმაურებები, ისმენენ კრიტიკულ შეფასებებსაც. რეალური თვალით ხედავენ და აფასებენ არსებულ რეალობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ივანდიდის საჯარო სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მონაცემთა შეგროვებისთვის სკოლა იყენებს ფოკუს-ჯგუფს, დაკვირვებას, მონაცემთა შეჯამებასა და ანალიზს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება. შეფასება ხდება მრავალი ასპექტის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი. ხდება მოსწავლეთა უნარების და ინტერესების გამოკვეთა, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების დროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- საგნობრივი კათედრების ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ივანდიდის საჯარო სკოლაში მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები და დირექცია პერიოდულად მართავენ შეხვედრებს, რომელზეც განიხილება არსებული კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეები. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო გამოცდილებას, ურთიერთდასწრების დროს უკუკავშირი არის ობიექტური და რელევანტური, ასევე მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების ფორმებს. ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ამ ეტაპზე სწორედ ზემოაღნიშნული წარმოადგენს სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. აქვე აღსანიშნია რომ იგეგმება მოსწავლეთა მიღწევების შესწავლა და შესაბამისი ინტერვენციების ასახვა მომდევნო წლის კურიკულუმებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ივანდიდის საჯარო სკოლაში 2025-2026 წლის კურიკულუმები მომზადდა წინარე გამოცდილების, ურთიერთსწავლების, რეკომენდაციების საფუძველზე. სკოლას სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და შესაბამისად თაობათა ცვლასთან ერთად მასწავლებლები ეუფლებიან საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებს, ცდილობენ პრაქტიკაში დანერგონ თითოეული წარმატებული გამოცდილება. აღნიშნული კურიკულუმების მომზადებისას იხელმძღვანელეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმითა და პრაქტიკაში არსებული სასწავლო გეგმების გამოყენებით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ყოველ წელს, შემუშავდება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი და არსებული სასწავლო წლის კურიკულუმები გადამუშავდება მიღებული შედეგების ანალიზისა და შეფასების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- პედსაბჭოს ოქმები
- კათედრათა სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 23.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნათია ოზბეთელაშვილი_____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასმათი ტოგონიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); _____

ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)_____

გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)_____

ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი) _____

ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)_____

ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)_____

ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)_____

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) _____

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)_____

ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)_____